# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**
თბილისი, რუსთაველის პრ. ასპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
ქსამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
**ხამგლოვიარო** განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე. — შაბათი ენკენისთვის 11. 1920 წ. № 97 — ფასი 10 მანეთი



## ეროვნულ-დემოკრატიული

**×× პარტიის მთავარი კომიტეტი ××**

ოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—11 და საღამოს 7—9 საათამდე.

---

გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ ლოვანი და მართა ჩიქოვანები, რომ სექტემბრის 14-ს არის მეორმოცე დღე ტრაღიკულად დაღუპული საყვარელი შვილისა

## თამარის

წირვა და პანაშვიდი იქნება ქუთაისში საფირჩხის ეკლესიაში დილის 10 საათზე. 3 3122—1

---

## ყურადღება

სასწრაფოდ მზადდება სურათები ქართველი და უცხოელ საზოგადო მოღვაწეებისა: მარქსი, ლასალი, ბებელი, ენგელსი, ჟორესი, ლიბკნეხტი, კაუცკი, ვანდერველდე და სხვათა, რომელთა ორიგინალებიც ჩვენთან ინახება. ვაფრთხილებთ ყველა იმათ, რომელნიც ჩვენ მიერ გადაღებულ სურათების ასლით ვაჭრობენ. სასახლის ქ. № 5. ქართული კლ. ეზო, მეორე სართული. 1—22—1

---

## საჭიროა
## მოსამსახურე ქალი.

მოიკითხეთ ,,საქართველოს'' კანტორაში. 4—7—

---

## წლიური კრება

ქართული **სამუსიკო** საზ-ბისა დანიშნულია 19 სექტემბერს დილის 10 საათზე, პეტრე დიდის ქ. № 8.

თუ ქორუმი არ შესდგა, ერთ საათის შემდეგ კრება ჩაითვლება კანონიერად. 2—23—1.

---

**შაბათს ამ წლის ენკენისთვის 11-დან კვლავ გამოვა**

ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

## „სასოფლო გაზეთი"

გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება და სხვა...

„სასოფლო გაზეთში" მონაწილეობას მიიღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. თითო ცალი 10 მან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, მისამართი რუსთაველის პროსპექ. № 25, გაზ. ,,საქართველო''-ს ბინაზე. 24 7—1

---

## სამხედრო სკოლა

გრძელდება ახალგაზრდათა მიღება. მიიღებიან 1-ლი ხარისხის უფლებებით რომელნიც გადასული არიან მე-7 კლასში. 2—3118—1

---

## სხვაგან სად! თუ არ სასადილო
## „ტაშირში"?!

(ყოფილი „ეკონომია'') შტაბის ქუჩა

**პუშკინის ბაღის პირდაპირ**

ვისაუზმოთ დილ. 0-12 ს.
ვისადილოთ ,, 12--6 ს.
ვივახშმოთ ,, 6--12 ს.

ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.

---

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები
## თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისთვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. 3101. 15—4

---

××●×× საზოგადოების საყურადღებოთ ××●××

## დავით იაგორის-ძე კალანდაძე

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ სარექტიფიკაციო ქარხანა

## კონიაკის, არაყის და ლიკიორის

**ნ. აივაზოვისა**, ყოფილი სავაჭრო სახლი ამხ. **სეილანოვებისა** პირველ მარიამობისთვიდან გადმოვიდა მის საკუთრებათ. ახლო ხანში საქონლები გამოვა **კალანდაძის** ფირმით — სადგურის ქ. № 5, სახლი სომხების სასულიერო სემინარიისა.

27


## ამერიკის ნოტა და საქართველო.

მრავალი დაბრკოლება უნდა გადალახულიყო, ვიდრე ანტანტი საქართველოს გაეცნობოდა და მის დამოუკიდებლობას კეთილ განწყობილებით შეხვდებოდა. ამ მიმდინარე წლის დასაწყისში პირველად გამოჩნდა ამ კეთილ განწყობილების ოფიციალი ნიშანი; ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობის აქტი. რამდენიმე თვის შემდეგ ამას მოჰყვა მეორე დიდი დაპირების პრაქტიკული აღსრულება; ეს იყო ბათომისა და ბათომის ოლქის საქართველოს ხელში გადმოცემა. თანაც ამ ხნის განმავლობაში ანტანტის სხვადასხვა პასუხისმგებელი წარმომადგენლისაგან მოგვეცა რწმუნება, რომ საქართველოს დე-იურე ცნობა ანტანტის სფეროებში უთანხმოებას არ იწვევდა და რომ იგი ცნობა მხოლოდ დროის საკითხი იყო. და ქართველობაც სრულის იმედით და უფლებით ამ ცნობის მოლოდინში იყო და არის. ამ ჩვენთვის ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებში მეხივით თავს დაგვატყდა შეერთებული შტატების 12 აგვისტოს ნოტა. ამ ნოტაში შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი, ბენბრიჯი კოლბი, გამოსთქვამს თავის მთავრობის პოზიციას რუსეთისა და მისგან გამოყოფილ ქვეყნებისადმი.

ნოტა მოითხოვს რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენას. რაც შეეხება რუსეთისგან გამოყოფილ სახელმწიფოებს, შეერთებული შტატები სცნობენ ფინეთს, პოლონეთს და სომხეთს, ხოლო ,,ეგრედწოდებული საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების'' ცნობა მათ შეუძლებლად მიაჩნიათ.

შეერთებული შტატების ხმის წონა და გავლენა მსოფლიო ომის საკითხებში დიდი რეალური ღირებულებისაა. და ეჭვს გარეშეა, რომ შეერთებული შტატების ხსენებული ნოტა დიდ შთაბეჭდილებას დასტოვებდა ანტანტის სფეროებში. დიდად სამწუხაროა, რომ ეს შთაბეჭდილება წინ ეღობება ქართველი ერის სამარადისო მისწრაფებასა და მისი სასიცოცხლო ინტერესს. ყველამ იცის რომ მსოფლიო ომის საშინელების მორალური გამოსყიდვა ყველაზედ ექსპრესიულად შეერთებული შტატების ხმაში გამოითქვა, ვილსონის 14 მუხლში, რომელთაც, თავის დროზედ, უკლებლივ შემოიკრიბეს ყველა ქვეყნის ყველა სოციალისტური წრის ერთსულოვნება და თანხმობა. ცხადია ისიც, რომ შეერთებულ შტატებს საქართველოსთან მეტი სამტრო თუ სამოყვრო არა აქვს რა, ვიდრე სომხეთთან, პოლონეთთან თუ ფინეთთან. და თუ შეერთებული შტატები ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობას ცნობენ ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა შეუძლებლად მიუჩნევიათ, ეს მხოლოდ და მხოლოდ უნდა მიეწეროს სრულს უინფორმაციობას საქართველოს შესახებ. და ეს უინფორმაციობა კიდევ ჩვენს უუნარობას და უმოქმედობას. ფინეთი და პოლონეთი დიდი ხანია რაც საერთაშორისო პოლიტიკური ყურადღების ცხოველი საგანი იყო. რამდენიმედ ეს შეიძლება სომხეთის შესახებაც ითქვას. ამასთან ერთად ამ ქვეყნებმა ამ ორი წლის განმავლობაში დიდი პროპაგანდა გასწიეს შეერთებულ შტატებში და დღესაც ეწევიან. მათ შესძლეს შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრისთვის გაეცნოთ თავიანთი გარდუვალი უფლება დამოუკიდებელ ცხოვრებაზედ და რეალური შეძლება და უნარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოსაწყობად. და შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი, ტრადიციით თავისუფლებასა და დემოკრატიზმში აღზრდილი, იცავს ამ ქვეყნების ეროვნულ თავისუფლებას. საქართველოს შესახებ ამის მზგავსი მუშაობა შეერთებულ შტატებში არავის გაუწევია. იქაური საზოგადოებრივი აზრი არ იცნობს საქართველოს და ქართველ ერს. არავის განუმარტავს მისთვის, თუ რა აქტუალური ენერგია აქვს მას სახელმწიფოებრივი შემოქმედებისათვის. ან რა ტრადიცია და ისტორიული უფლება რომ იარსებოს, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. ამის შემდეგ რა სამდურავი გვეთქმის შეერთებული შტატების მიმართ.

ჩვენ რომ ყველა ღონისძიება გვეხმარა და ყველა საშუალება ამოგვეწურა ჩვენი ვინაობის განსამარტავად და ჩვენი უფლების ცნობის მოსათხოვად და შეერთებული შტატებისაგან კი ხელის შეშლა და დაბრკოლება პასუხად გვერგებოდა,—მაშინ საბუთიანი იქნებოდა ყოველი ჩვენი პროტესტი და სამდურავი; ხოლო სანამ ეს ასე არ იქნება, მთელმა ქართველობამ ყველა სამდურავი თავისი ენერგიული გულისწყრომა და აშკარა უკმაყოფილება ჩვენს მთავრობას უნდა განუცხადოს. მთავრობამ იმდენი ვერ მოახერხა, რომ შეერთებულ შტატებში ჩვენი საქმის პროპაგანდა მოეწყო და ეს მაშინ, როდესაც, გაზეთი ,,ერთობის'' თქმით, საგარეო სამინისტრო საზღვარს გარეთ უადგილო ხარჯებს ეწევა და იქ სინეკურას აჩენს!!.

## აღმოსავლეთის „გამღვიძებელნი"

ბაქოში შეკრებილ ,,აღმოსავლეთის ხალხთა'' ყრილობაზე რუს ქართველი ბოლშევიკები დიდს იმედებს ამყარებენ. ქართველ ბოლშევიკების ორგანო ,,კომუნისტს'' თუ დაუჯერებთ, ბაქოს ყრილობის შედეგი უნდა გამოიხატოს აღმოსავლეთის ხალხთა სრული განთავისუფლებაში ,,ევროპისა და ამერიკის სისხლში მოსვრილ მეყასბეებისაგან(?)''. თურმე ნუ იტყვით, იწყება ახალი ხანა აღმოსავლეთისა, ხანა ემანსიპაციისა, ,,კაპიტალის ბრჭყალებისაგან'' თავის დახწევისა და სოციალური სამოთხის დამკვიდრებისა. ამ ახალ წესწყობილების პიონერებად ბოლშევიკებს მიაჩნიათ ის ნახევრად ველური ,,დელეგატები'', რომელმაც ყველა თავის აფექტიურ გრძნობას აშიშვლებულ ხმლის პრიალით ამტკიცებენ. აბრეკი, მთელი თავისი სიცოცხლე ცხენზე, რომ გაუტარებია დახრუკულ აზია აფრიკის უდაბნოში და უნაგირის ქვეშ გამთბარი ხორცით შიმშილი ჩაუკლავს, დღეს გამოდის ,,დახავსებული ევროპის'' კულტურის მგმობელად და თავსამტვრევ სოციალ პოლიტიკურ პრობლემის იოლ გადამჭრელად.

ავადმყოფური მანიით უნდა იყოს შეპყრობილი ადამიანი, რომ ამგვარ მისტიფიკაციებს გაატაცოს თავი და მანიაკურად ამუშავებულ გონების პროდუქტი რეალ შესაძლებლობად დასახოს.

# დღეს

პოლონეთის ლაშქარი კიურიზონის მიმართულებით იბრძვის.

საბჭოთა მთავრობამ უპასუხა ლოიდ-ჯორჯს, რომ რუსეთი არ შესცვლის პოლონეთისადმი მიმართულ საზავო პირობებს.

პოლონელებმა ლიტვისაგან მოითხოვა იმ ადგილების განთავისუფლება, რომელიც რუსეთმა პოლონეთს გადასცა.

საბჭოთა რუსეთის სამეურნეო დარგები მთავრობამ უცხოელებს კონცესიად გადასცა.

ებერტი პრეზიდენტობას თავსანებებს.

კოსკანში დიდი მიწის ძვრა მოხდა.

დე-მარტელის დროებით მოადგილეთ საქართველოში დაინიშნა ბ. ნეტემანი.

**წერილები:**

მეთაური: ამერიკის ნოტა და საქართველო.

რ. ინგილო: აღმოსავლეთის „გამოღვიძებულნი".

გაზ. ,,დეილ ტელეგრაფი'' საქართველოს შესახებ.

ჩვენი კორესპონდენტები:

დუშეთის თემი.

ფელეტონი: ბ. გ. რუსეთის პრობლემა და კავკასია.

---


თბილისის ვაჟთა მე 4 გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო გულითადი და ღრმა მწუხარებით აუწყებს მშობელთა და მოწაფეებს, რომ სექტემრის 10 ს ტრაღიკულად გარდაიცვალა გიმნაზიის სათაყვანებელი და უსაყვარლესი დირექტორი,

**მიხეილ ყარამანის ძე ზაალიშვილი**

პანაშვიდი დანიშნულია დღეს საღამოთი 6 საათზე მიხეილის სავადმყოფოს სამლოცველოში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 15 1—1

---

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ.

**,,ახალ სხივზე''**

გაზეთი გამოდის **გრიგოლ გ'ორგაძის** რედაქტორობით, ღირს თვეში 20 მან. ფული უნდა გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, პეტრე დიდის ქუჩა ,,ახასხივს'' 6—3

---

გაზ. **,,საქართველოს''** კონტორა

ამით აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ გაზეთი თვიურად ღირს **300** მან. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს შემოტანილი და ხვედრ ფულს დროზე არ გადაიხდის, გაზეთის გზავნა მოესპობათ.

---

მიმდინარე წლის **1** ოქტომბერს,

**თბილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება ,,შევარდენში''**

განათლების სამინისტროს ნება დართვით

**გაიხსნება 8 თვიანი უფასო ქართული**

**ტან-ვარჯიშული სკოლა**

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი არა უმცირესნი 18 წლისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ბოლოს 4 კლასის კურსდამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 ს. – 1 ლ საათამდე.

ყველა კურს დამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა რესპუბლიკის სასწავლებლებში.

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, მიიღება ყოველ დღე დილის 12 დან—1 საათამდე არა უგვიანეს 15 სექტემბრისა განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა გაშინჯულ იქნებიან ექიმის მიერ.

ტანვარჯიშობის მთავარი ინსტრუქტორი.

12—1 6—


---

მაინცადამაინც რა ითქვა ისეთი ახალი რამ, ან რა ,,გამოცხადება' ეუწყა ტკილად მძინარე ,,აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლებს'' ბაქოს ყრილობაზე, რომ ასე შეუფერებლად აყვირდნენ ჩვენი თანამემამულე ბოლშევიკები ''კომუნისტის'' ფურცლებზე? მათ დაავადებულს აზროვნებს ათასნაირი ერთი-მეორეზე საზღაპრო პერსპექტივები ელანდება. აღმოსავლეთის კიდეებზე ბოლშევიკების ამღვრეულ თვალებს წარმოუდგა ,,ამბოხებისა და რევოლუციის აგუზგუზებული ცეცხლი'', რომლის წინაშე უნდა ,,ძრწოდნენ და ცახცახებდნენ ევროპის შავი და ყვითელი სისხლიანი იმპერიალისტები''... ასეთი მყვირალა სიტყვები სრულებით არ შეეფერება ყველა იმას, რაც ჩვენს თვალწინ ქალაქში ხდება:

მოგეხსენებათ, რომ ,,აღმოსავლეთის ხალხთა'' ყრილობაზე უნივერსალურ როლს თამაშობენ აღმოსავლეთის ი'ეთი აბორიგენები, როგორიც არიან ზინოვიევი, რადეკი, ოსტროვსკი და სხვა საბჭოთა რუსეთის მოღვაწენი. ესენი უნდა ჩაუდგნენ სათავეში იმ რაზმს, რომელსაც ევალება აღმოსავლეთში ,,ევროპის სისხლიან იმპერიალიზმის'' აღმოფხვრა, ხოლო მათი რეცეპტი შეზავებულია იმავ ,,დარიგებებით'', რაც ასე უხვად იბნევა რუსეთის უზომო სივრცეში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში! აღმოსავლეთის აუდიტორიის წინაშე ბოლშევიკების აგენტები იმავე ტვირთით ვამოდიან, რისი დაცლაც მათ ვერ მოახერხეს დასავლეთ ევროპის და ამერიკის მოწინავე მუშათა ორგანიზაციების ,,საწყობებში''.

განათლებულ ქვეყნებში დარცხვენილი კომუნისტები გამოეშურნენ სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთის ბჭესთან ააგეს ,,ქვეყანაზე ჯერ არ ნახული და არ გაგონილი—აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა''—ეს ახალი ჯურის ,,ბაბილონის გოდოლი'', რომლის აღმშენებლად გამოდიან სლავურ მოსკოვის ხუროთმოძღვრები...

ადვილი წარმოსადგენია, რომ ,,ღრმა ძრილობებისაგან დამწუხრებულ'' ჭაღარა აღმოსავლეთს ვერ განკურნავენ ბოლშევიკების დოსტაქრები და მათი მყვირალა ლოზუნგები გურგენის ზღვის ტალღების ჩქეფაში ჩაკვდება. აღმოსავლეთის ყავახანებს ვერ მისწვდება მოსკოვის კომუნისტის ,,საყვირი''... ჭაღარა აღმოსავლეთი განაგრძობს ტკბილ ძილს...

**რ. ინგილო.**

---

# დეილ ტელეგრაფი საქართველოს შესახებ

## საქართველო და რუსეთი

ლონდონის კონსერვატორების გავლენიან გაზეთ ,,დეილ ტელეგრაფის'' აგვისტოს 4—ის №-ში, შემდეგი წერილი დაბეჭდილი, რომელიც გადმობეჭდილია გაზ. ''კრონის' გუშინდელ №-ში.

**ხელშეკრულება ხელმოუწერელია.**

**რეფორმის საჭიროება.**

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისგან

ბათუმი, ივლისის 8.

ფართო განცხადებათ მოედო ყველა ქვეყნის პრესას, რომ საქართველომ ლენინთან საზავო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა და საქართველოს ნაციონალურმა კრებამ დაამტკიცა იგი. ამობობდნენ რომ ამ ხელშეკრულებამ საქართველო საბჭოთა რუსეთის ვასალათ გახადა. მოკლეთ, ყველა ისეთი შთაბეჭდილების ქვეშაა, რომ საქართველო გახდა ბოლშევიკური. არაფერი არაა ხიმართლეზე ისე დაშორებული, როგორც ეს. ეჭვი არაა, რომ საქართველომ განახორციელა ბევრი სოციალისტური ზომა, და თავის თავს აცხადებს როგორც სოციალისტურს, მაგრამ ბოლშევიკებს ძალიან მტრობენ, ინდივიდუალურათ და კოლექტიურათ; მინისტრებს სძულთ ლენინი, რომელსაც მთავრობის ზოგი წევრი პირადათ იცნობს' და არ მოსწონს მისი გზები. ამ შემთხვევაში სახეს იჩენს მთელი ერის ინსტიკტი და მიმართულება, რომელი ერიც შესდგება უმთავრესათ წვრილ მესაკუთრეებისაგან; მათ შორის რუსეთისადმი სიძულვილი დიდი ხნის ცნობილი ფაკტორია. დამფუძნებელი კრების ორი შესანიშნავი წევრი ბ.ბ. გვაზავა და სვიმონოვი, *) რომელნიც ნაციონალისტები არიან, ანუ ჩვენებურათ რომ ვსთქვათ, ზომიერი კონსერვატორები ბრიტანეთის პოლიტიკაში, მოწმობენ, რომ ეს ხელშეკრულება, რომელსაც მოსკოვში, შუალამისას საქართველოს არაოფიციალურ აგენტმა მოაწერა ხელი, რომელიც ხედავდა რამოდენიმე დღის განმავლობაში როგორ გადადიოდა ლენინის ხელში ბაქო ეს იყო ის დრო, როდესაც ანტანტამ თავისი სიჩუმით და ლენინთან მაჭანკლობით, საქართველო და სომხეთი მგლებს მიუტოვა. ხელშეკრულება, როგორც ზავის ხელშეკრულება პრინციპიალურათ იქნა მიღებული, მხოლოდ გაეგზავნა მინისტრებს ამიერკავკასიის ქალაქში, ნამდვილი მუხლების განსახილველათ და იმის განსაცხადებლათ, რომ ქართველ ხალხს სრულებით არა აქვს სურვილი თვით უკანასკნელ შემთხვევაში მიმართოს ომს თავის მეზობლის წინააღმდეგ. დაგვიანების შემდეგ, რომელიც კომუნისტური (მიმოსვლის) პირობებით იყო გამოწვეული, ამ ხელშეკრულების ტექსტი მიღებულ იქნა თფილისში. საქართველოს მთავრობამ მაშინვე შეატყობინა რუსეთის მთავრობას, რომ მთელი ხელშეკრულება მიუღებელია და უარი უთხრეს მის წარდგენაზე დამფუძნებელ კრებაში დასამტკიცებლათ ბ.ბ. გვაზავა და სვიმონოვა ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ოქმი (რეკორდი) დანარჩენ ყველაფერში სრულ იჭვს იწვევს. მათი მტკიცება უფრო დამარწმუნებელია, ვინემ რომელიმე ოფიციალური განცხადება, ან ფრთხილათ მოკვარახჭინებული ცნობა, რადგან ესენი და მათი პარტია არსებულ მთავრობის მედგარი ოპოზიციონერებია, თუმცა ისინი ჯერ არ სცდილობენ ჩამოაგდონ მთავრობა თავის ადგილიდან შინაურ მიზეზების გამო, როდესაც ქვეყანა საფრთხეშია გარეშე მტრებისაგან.

**სულელური ტყუილი**

ბ. გვაზავა, დამფუძნებელი კრების საგარეო საქმეთა კომისიის სრულუფლებიანი წევრი სულელურ ტყუილათ სთვლის იმ ცნობას, თითქოს რაიმე აქტი ანუ შეთანხმება გულისხმობდა საქართველოს მთავრობის მოვალეობას, რომ მოსკოვის საბჭოთა მთავრობისათვის გადაეცა ყველა ის რუსი, რომელთაც ცოტათ თუ ბევრათ ლენინს წინააღმდეგ სადმე მონაწილეობა მიუღიათ. რუსების დიდი რიცხვი, რომელნიც ბოლშევიზმის საშინელებას გამოექცენ, დღეს-დღეობით საქართველოში იმყოფება. ბევრ მათგანის გულისთვის ლენინი ბევრს მისცემდა, რომ ჩაეგდო ისინი თავის კლანჭებში. მაგრამ მას ხელს უშლის მთებში მცხოვრებ ხალხის გადაწყვეტილება, რომლის დამარცხება და დაპყრობა ძნელია, რომელიც აღფრთოვანებულია და გაცოცხლებულია ნაციონალიზმით, რომელსაც შთაბერილი აქვს საყვარული ახლათ დასაკუთრებულ დამოუკიდებლობისადმი' ლენინმა იცის, რომ თუ იგი დაიპყრობს ამ ქვეყანას თავის ჯარების ძალით, საქართველო შეიქმნება „დამოზა ბერედიტას"—სახიფათო მემკვიდრეობა და მუდმივი მიზეზი შეწუხებისა და დავი-დარაბისა. ამიტომ უმჯობესად მიაჩნია შეეკრას პირობით ამ ჯიუტ ხალხს ეხლა მაინც და შესძლოს საგარეო ვაჭრობის დაწყება, რომ ასე უზრუნველყოს რუსეთი საჭირო საქონლით ქართველ ვაჭართა და ბათომის ნავთსადგურის საშუალებით, რომელიც დღეს საქართველოს დროშის ქვეშ არის.

მოწმეთაგან დაგროვილი ჩვენებანი ისეთია, რომ რუსეთის საბჭოთა დელეგაცია, მოწვეული თბილისში ახალი ხელშეკრულების საფუძვლების გამოსარკვევათ, გახდა სრულიად უილიუზიო. ეს დელეგაცია ჩამოვიდა იმ მტკიცე რწმენით, რომ მათ თავის ნებაზე მოქცევის ნებას მისცემდნენ.

მათ ყავდათ თან ბოლშევიკური პროპაგანდისტები და სხვა საეჭვო აგენტები, მაგრამ ისინი შეხვდნენ მედგარ შინაგან საქმეთა მინისტრს, ბ. რამიშვილს, რომელსაც ნხარს უჭერდა საზოგადოებრივი აზრი და რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ რუსეთის მისიის წევრთა რიცხვი შემცირებულიყო რამოდენიმე პირამდე; შეხვდნენ მინისტრს, რომელიც ნებას არ მისცემდა ვინმეს კავშირი დაეჭირა დელეგაციასთან რაიმე პრეტენზიის გამო, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი,—და მან პირდაპირ აცნობა რუსეთის წარმომადგენლებს, რომ დიპლომატიურ მისიის განსაზღვრულ საქმეთა გარდა ყოველივე სხვა ნაბიჯის გადასადგმელათ ყოველივე ცდას, თან მოჰყვება მთელი მისიის დაპატიმრება. რუსეთის მთავარმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა, ბ. კიროვმა, არის საბუთი დავიჯეროთ, უკვე შეატყობინა ლენინს, რომ მისი მდგომარეობა აუტანელია და რომ ყოველ შემთხვევაში არავითარი პროგრესი არ გაკეთებულა დამოკიდებულებაში; ქართველები დარჩენ ისეთივე გულქვა. მათ სურთ, მეგობრული მეზობელი იყვნენ და საუკეთესო კომერციული დამოკიდებულება დამყარონ, მაგრამ ისინი არ ღებულობენ ისეთ პირობებს, რომელიც რუსეთს ხელებს გაუხსნიდა.

მოსკოვის მთავრობას არ შეუძლია ჯერ დახარჯოს ხალხი საქართველოსთან ომში და ამიტომ შეეცადა დათანხმებულიყო ქართველების არსებით დამოუკიდებლობაზე იმიტომ, რომ ხელი შეეწყო რუსეთის ხალხის აუცილებელ პირველ საჭიროების საგნებით დაკმაყოფილებისათვის კავკასიაში საგარეო ვაჭრობის წარმოებით და ბათომის ნავთსადგურის სარგებლობით, რომელიც დღეს საქართველოს მფლობელობაშია. თუ რუსეთის კლანჭები ბაქოზე შერჩება, საეჭვოა მაინც, რომ ადირბაიჯანის პროვინციების დაჭერა შესძლებს, თუ გინდ ტროცკის შეეძლოს დიდი ძალებით გაავსოს, ეს ქვეყანა, რომელიც უკვე მივიდა შიმშილობამდე და არის აღელვებული ბაქოში რუსეთის მმართველობით.

*) ალბათ გვარი „სვიმონოვი" შეცდომით არის დაბეჭდილი.

---

# დეპეშები

## ფრანგული პრესა.

**რუსეთი და ევროპა.**

„პტი ჟურნალი" იხილავს პოლონეთრუსეთის ფრონტის მდგომარეობას' და აღნიშნავს: რუსეთ პოლონეთის ფრონტის მდგომარეობის გაცნობა ცხადად ადასტურებს ბოლშევიკების დამარცხებას, თუმცა ბოლშევიკები ამაში არ ტყდებიან. პოლონელების გამარჯვებამ თავის გავლენა იქონია ევროპის საერთო მდგომარეობაზედაც და ბოლო მოუღო ინგლისში კომედიის თამაშობას. მოსკოვმა შესტოპა და ვერ გამოიყენა მისთვის ხელსაყრელი პირობები. როგორც ეს ხშირად ხდება, ჩიჩერინი, კამენევი და კრასინი ამაზე მეტი შორს მჭვრეტნი ვერ გამოდგნენ, როგორც ეს საჭირო იყო. მათი იმედი აღმოსავლეთსა და პოლონეთზე დაიმსხვრა. ახლა პოლონეთის გამარჯვების შემდეგ კოშმარისაგან განთავისუფლებული რუსეთის საკითხი, მოკავშირეებს უფრო გულდამშვიდებით შეუძლიანთ გადასწყვიტონ. მაგალითმა გვიჩვენა' რომ ბოლშევიკთა რწმუნება ხალხთა ძმობისა და ნამეტნავად პოლონელებთან დაძმობილების შესახებ, ფარისევლურია. ბოლშევიკებმა გასცეს კატეგორიული ბრძანება პოლონეთის წინააღმდეგ შეტევისა და ამავე დროს მინსკში საზავო კონფერენცია დანიშნეს. ისე რომ ეს პოლონეთის მთავრობას კი არ აცნობეს, არამედ ლონდონს აუწყეს. შემდეგ როდესაც ამ მიზეზით პოლონელები კონფერენციას ვერ დაესწრენ, ბოლშევიკებმა მათი მოუსვლელობის გამო საყვედური განაცხადეს. ბოლშევიკებმა გვიჩვენეს, რომ მათში არაა არც ზრდილობა და არც კეთილშობილება საერთაშორისო მნიშვნელობით გაგებული. ბოლშევიკების ვერაგობამ შეიძლება ვინმეს მოუტანა სარგებლობა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა მათ, ყოველივე ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ და გარკვეულად უნდა გადავსწყვიტოთ რუსეთის საკითხი. თუ დასავლეთ ევროპის დემოკრატიას არ მიაჩნია შესაძლებლად რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა, მაშინ ეს საკითხი ერთხელ და სამუდმოდ უნდა მოიხსნას. ევროპას უნდა რუსეთის ნედლი მასალა, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ მან ის მიიღოს. ყოველ შემთხვევაში რუსეთი მეტად საჭიროებს ევროპას, ვიდრე ევროპა რუსეთს. თუ ევროპას არ შეუძლიან ჩაერიოს რუსეთის საქმეებში და მას დახმარება გაუწიოს, მაშინ დეე, თვით რუსეთმა დაეხმაროს ევროპას.

**საქონლის შეტანა საფრანგეთში.**

ხელოვნურ ნაწარმოებთა გატანის შესახებ ოფიციალური კანონი გამოქვეყნდა. მუხლი 1. სახალხო განათლების და ხელოვნების მინისტრის ნება დაურთველად სახელმწიფოს ფარგლებიდან აკრძალულია იმ საგნების გატანა, რომლებსაც ეროვნული, ისტორიული ან მხატვრული მნიშვნელობა აქვთ. მინისტრს, ექსპორტიორის თხოვნაზე პასუხის გასაცემად, ერთი თვის ვადა ეძლევა. ეს განკარგულება ეხება 1830 წლამდე გაკეთებულ ავეჯეულობას, იმ მხატვრების, მოქანდაკეების და სხვათა ნაწარმოებსაც, რომლებიც გამოცემულ კანონის 20 წლის წინეთ გადაივალენ, კანონი ეხება აგრეთვე მიწაში აღმოჩენილ ძველ ნაშთებსაც (დამახინჯებულია) მუხლი 2. საზღვარ გარეთ გასატანი აღკრძალული საგნები, თანახმად 1913 წლის დეკემბრის 31 პარ. 16 ძალისა, ცალკე სიაში იქნება შეტანილი (დამახინჯებულია) მუხლი 3. საფრანგეთის მთავრობას ეძლევა უფლება მისაკუთროს, ან გადასცეს რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საზღვარ გარეთ გასატანი ნივთები იმ ფასებში, რომელსაც დანიშნული ექსპორტიორები დააწესებენ. (დამახინჯებულია).

**პოლონეთი და ლიტვა.**

პოლონეთის მთავრობა მოითხოვს ლიტვისაგან, რათა მან გაიყვანოს თავის ჯარები იმ ოლქებიდან, რომლებიც უმაღლეს საბჭოს მიერ პოლონეთის საკუთრებათ არის აღიარებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მას (ლიტვას) ომით ემუქრება.

## გერმანული პრესა.

**ბავარიის გამოყოფა გერმანიიდან.**

,,ფოსიშე ცაიტუნგი'' ბავარიის გერმანიიდან გამოყოფის განზრახვის შესახებ სენსაციურ ცნობას ჰბეჭდავს. ბავარიის მმართველი წრეები ყოველ ზომას მიმართავენ ბავარიის ტერიტორიის გასაფართოებლად. ამ მიზნით ისინი ჰფიქრობენ გერმანელებით დასახლებულ ავსტრიის ტერიტორიის შემოერთებას. გერმანულ გაზეთს ამის შესახებ მოჰყავს ბავარიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, რომ დღეს ბავარიის მიზანი თავის სახელმწიფოებრივობის უზრუნველყოფა არის'ი. მახლობელ მომავალში ბავარია გერმანიას არ გამოეყოფაო.

**ნავთის საკითხი.**

ვაშინგტონის პრესამ გამოაქვეყნა სენატორ პელანის მოხსენება ნავთის ბაზრის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ინგლის-საფრანგეთის ნავთის მრეწველთა სააქციონეროა საზოგადოების აქციათა ორი მესამედი შეიძინა ინგლისის მთავრობამო. სენატორი პელნი აღნიშნავს, რომ ამერიკამ ინგლისს ნავთის ბაზრის დაპყრობაში ხელი უნდა შეუშალოსო.

## იტალიური ცნობები.

**მიწის ძვრა.**

რომ, სექტემბრის 9. აგელინის მახლობლათ მიწა ინძრა. მეფემ ინახულა მიწის ძვრისაგან დაზარალებული ადგილები. გლეხები და მუშები მეფეს ოვაციებით შეხვდნენ. მეფე დაინტერესდა მათი მდგომარეობით და დაუხედავად საფრთხისა შედიოდა სახლებში ზარალის გამოსარკვევად. [illegible] ცნობით მიწის ძვრამ 300 კაცი იმსხვერპლა. სამხედრო სამინისტრომ და წით. ჯვ. საზ. დაზარალებულთ სურსათი და ფული გაუგზავნა.

**პოლონეთი და რუსეთი.**

საბჭოთა მთავრობამ პასუხი გასცა ინგლისის უკანასკნელ ნოტას სადაც აღნიშნავს, რომ პოლონეთის მიმართ წარდგენილი პირობები არ შეიცვლებაო.

**ბერძნების დესანტი შავ ზღვაში.**

,,დეილიექსპრესი'' იუწყება კონსტანტინოპოლიდან: საბერძნეთის ტრანსპორტები როდოსიდან გავიდენ, გაიარეს ბოსფორი და შავ ზღვაში შევიდენ. ტრანსპორტზე მოთავსებულია საბერძნეთის მთელი დივიზია.

**ელჩის დანიშვნ.**

საფრ. მთავრობამ თანხმობა განაცხადა პარიზში ლორდ მარტინგის ელჩად დანიშვნაზე.

**პოლონეთის იერიშები.**

ვარშავიდან იუწყებიან პოლონეთის ჯარის შეტევის შეჩერების შესახებ, ჯარი კიურზონის ხაზზე გამაგრდა.

**მიწის ძვრა ტოსკანიაში.**

სეისმიურმა სადგურმა აღნიშნა ტოსკანში ძლიერი მიწის ძვრაო, ამ მიწის ძვრამ დაანგრია რამოდენიმე სოფელი.

**,,ტაიმსი'' რიგაში მოლაპარაკებისგამო.**

ლონდონი, 10 ენკ. (რადიო). ,,ტაიმსი'' სწერს: დარწმუნებით შეიძლება, ითქვას რომ საზღვრების საკითხი ადვილად იქნება გადაჭრილი და რომ ბოლშევიკები არ დაიჟინებენ პოლონელთა შინაურ ცხოვრებაში ჩაერიონ. უფრო რთული საკითხია უკრაინა, რის შესახებაც ბოლშევიკები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ პოლონეთმა სცნოს უკრაინის საბჭოთა მთავრობა.

**მილიერანი ვისბადენში.**

ლიონი, 10 ეკ. (რადიო). პარასკევს საფრანგეთის პრემიერი და მარშალი ფოში კოლლეციიდან ვისბადენში გაემგზავრნენ, სადაც გენ. მორდონმა აღლუმი გამართა მე-35 კორპუსისა. მისასალმებელ სიტყვაში მილიერანმა სხვათაშორის სთქვა: „რეინში მოკავშირეთა მიერ მიჩენილი ჯარები, არავისთვის საფრთხეს არ წარმოადგენსო".

**მ[illegible]ონის წლის თავი ამერიკაში.**

ლიონი, 10 ენკ. (რადიო). ვაშინგტონიდან იუწყებიან, მარონზე გამარჯვების წლის თავი ბრწყინვალედ იდღესასწაულეს ამერიკელებმა და მისალოცი დეპეშები გაეგზავნება მილერანს, მარშალ ფოშს და სხვას.

**სევასტოპოლის ბირჟა.**

ბათომი, 9 ენკენისთვე ,,ველიკაია როსიას'' ეხატყობინებს 25 აგვისტოს სევასტოპოლის ბირჟას მდგომარეობის შესახებ.

| | |
|---|---|
| 1. გირ. სტერლინგი | 88,000 მან. |
| 1. დოლარი | 23.000 მან. |
| 1. ფრანკი | 1.700 მან. |
| 1. ოსმალური ლირა | 22.000 მან. |
| 1. გერმანული მარკა | 650 მან. |
| 1. ავსტრიული კრონი | 135 მან. |
| 1. იტალიური ლირა | 950 მან. |
| 1. ბერძნული დრახმა | 2.300 მან. |

## მოსკოვის ცნობები.

**რუსეთი და ანტანტა**

,,იზვესტია'' იუწყება: საბჭოთა რუსეთს ანტანტის სამხედრო ჩარევისა არ უნდა ეშინოდეს, ვინაიდან ბლოკადას მხოლოდ საცოდავ შედეგების მოცემა შეუძლიათ, არც პატარა სახელმწიფოებს შეუძლიანთ შემოტევის დაწყება, ვინაიდან ფინლიანდიის ჯარი მხოლოდ 100.000 კაცისაგან შესდგება; ასე რომ ფინლიანდიისათვის რუსეთთან ბრძოლის დაწყება არ არის ხელსაყრელი. სუსტია რუმინიაც, რომლის სამხედრო ძალა 24 ქვეითა და 4 ცხენოსანთა დივიზიაში გამოიხატება. არ არის საშიშარი არც პოლონეთი, რომელიც რუსეთთან ბრძოლაში უკანასკნელ ძალას იკრებს.

**პროფესიული კავშირები**

რადეკმა პროფესიულ კავშირების შესახებ საგანგებო მოხსენება შეადგინა. თანახმად მოხსენებისა გერმანიაში ომის დაწყებამდე პროფესიულ კავშირებში 2 მილ. წევრი ყოფილა, ამ ჟამად კი ირიცხება 8 მილ. ინგლისში ომამდე 4 მილ. ახლა 6 ნახ. მილ. საფრანგეთში პროფესიულ კავშირებში ომამდე 400.000 წევრი ირიცხებოდა, ახლა ორი მილიონი, იტალიაში ომამდე 450,000 ახლა 2 მილ. შეერთებულ შტატებში ამ ჟამად პროფესიულ კავშირებში 4 მილ. წევრი ითვლება. ამიტომ, ამბობს რადეკი, გაუგებარია ზოგიერთ კომუნისტის უარყოფითი დამოკიდებულება პროფესიულ კავშირებთანო. თავის მოხსენებაში რადეკს მოჰყავს ცნობები თუ რა ხდება ცხოვრება ინგლისში გერმანიაში და ამერიკაში. გერმ[illegible]

ნიაში ოთხ წევრისაგან შემდგარ ოჯახს თვეში საცხოვრებლად 16.000 მარკა სჭირდება, შეერთებულ შტატებში კი არა ნაკლებ 2.500 დოლარისა. ამ რიგად ევროპა მძიმე კრიზის განიცდის.

**ელექტრონის ორთქლ მავალი**

„იზვესტია“ იუწყება: მახლობელ დღეებში პეტროგრად-მოსკოვის რკინის გზის ხაზზე ელექტრონის ორთქლ-მავალი იქნება გამოშვებულიო. ორთქლ-მავალის სისწრაფე საათში 100 კილომეტრზე შეიძლება ავიდეს.

ენკენისთვის 8 (რადიო) ინგლისის ცენტრალურ სავაჭრო პალატას მოუვიდა სია იმ კონცესიათა, რომელსაც ბოლშევიკები უცხოელებს აძლევენ. კონცესები ეხება სახელმწიფო მეურნეობის ყოველ დარგს. საბჭოთა მთავრობა იძლევა კონცესიებს დასამუშავებლად (გამოტოვებულია) გზების, ტრამვაის, წყალსადენების, მხოლოდ ერთი პირობის ასრულებით, (გაგრძელება არ მივიღია).

**ამერიკა და პატარა სახელმწიფოები.**

ამერიკის წარმომადგენლებმა გენ. მაკალემ განაცხადა: შეერთებული შტატები მზადაა ეკონომიური დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს ახალგაზრდა სახელმწიფოს და შეძლების დაგვარად ხელი შეუწყოს (გამოტოვებულია).

# ბოლშევიკური ცნობა

## ოპერატიული ცნობა.

**პოლონეთის ფრონტი.**

გროდნოს რაიონში ბრძოლა სწარმოებს ნოვიდვორისა და კუზნიცის ჩრდილოეთით. ბელოვეჟის ტყის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ, რომელიც ბელოსტოკზე იყო მიმართული. ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში მტრის თავდასხმა მოგერიებულ იქმნა. ბრძოლა სწარმოებს ქაბინკასთან. ვლადიმირ-ვოლინსკის რაიონში მტერი შევაჩერეთ და ხელი შევუშალეთ დახავლეთ ბუგზე გადმოსვლაზე. როგატინის რაიონში მტრის იერიშს იერიშით შევხვდით და ძლიერი ზარალი მივაყენეთ. ტყვედ წამოვიყვანეთ 150 კაცი, დავლად ხელთ ვიგდეთ ტყვიის ფრქვევლები. ყირიმის ფრონტზე, ორეხოვის რაიონში სასტიკი ომები სწარმოებს.

**პოლონეთთან მოლაპარაკება.**

მოსკოვი 10 ენკენისთვის. რიგაში ახლდება მინსკში დაწყებული მოლაპარაკება პოლონეთთან. რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარედ დანიშნულია იოფე. დელეგაციის რიცხვში შედიან ობოლენსკი, მანუილსკი და კიროვი. მდივნები: ვასილიევსკი, შემიაკინი და ლორვცი. ექსპერტის სახით გაგზავნილია პროფესორი ბოგოლეპოვი; სამხედრო ექსპერტად - ნოვიცკი.

**კამენევის შეკითხვა ვრანგელის მთავრობის შესახებ.**

კამენევმა მიმართა ლოიდ ჯორჯს შეკითხვით: საფრანგეთის მიერ ვრანგელის მთავრობის ცნობის შემდეგ როგორი დამოკიდებულება გაქვთ მასთან და ინგლისი საჭიროდ სცნობს თუ არა მიიღოს ღონის ძიებანი ინგლისსა და რუსეთს შორის მეგობრულ დამოკიდებულების დასამყარებლად. ინგლისმა ფაქტიურად შეუმსუბუქა მდგომარეობა და ხელი შეუშალა მის საწინააღმდეგო მოქმედებაში საბჭოთა მთავრობასო. ამის საპასუხოდ ლოიდ ჯორჯმა გარკვევით განაცხადა. ინგლისის მთავრობის სურვილია დაუყონებლივ შეწყდეს აღმოსავლეთ ევროპაში სამტრო მოქმედებები და ჯარების პირადი უზრუნველყოფა (გამოტოვებულია) ინგლისი სრულებითაც არ ცდილობს რუსეთს წაართვას ყირიმი და იგი ვრანგელს გადასცეს.

**წითელ არმიელების განიარაღება აღმოსავლეთ პრუსიაში.**

მოსკოვი. სექტემბრის 10 ს. საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ბერლინში ამხ. კოპმა პროტესტით მიმართა გერმანიის მთავრობას, სამხედრო მოქმედების დროს აღმოსავლეთ პრუსიაში შესული წითელ არმიელების განიარაღების გამო, რის უფლებაც არ ჰქონდა გერმანიას თანახმად ნეიტრალიტეტისა და მოკავშირეთა შორის არსებულ კომისიის პირობებისა. რადგანაც ამ კომისიაში შედის ისეთი სახელმწიფოებიც რომელნიც ეხმარებიან პოლონეთს, ამიტომ გერმანიის მთავრობის მოქმედება უთუოდ დარღვევაა ნეიტრალიტეტისა. მიიქცია რა გერმანიის მთავრობის ყურადღება ამ ფაქტზე ამხ. კოპმა სთხოვა მიერიდან არ განმეორდეს მოკავშირეთა შორის არსებული კომისიის მზგავსი საქციელი წითელი არმიელების მიმართ.

მეორე განცხადებაში ამხ. კოპი მიუთითებს მთავრობას, რომ გერმანული გაზეთების ცნობით წითელარმიელების განიარაღება მოხდა პოლონელ ჯარის ნაწილების დახმარებით, რის შემდეგაც ისინი გერმანიის ტერიტორიიდან გაყვიდენ. ამხ. კოპი მოითხოვს გამორკვეულ იქნას თუ რა ზომები მიიღო მთავრობამ, რომ პოლონეთის ჯარის მხრივ გერმანიის ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ დამამტკიცებელი ფაქტები მიიღო და ან რას ფიქრობს მომავალში ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

# სომხეთი.

**ხატამბოლი სექტემბრის 1.** მოსულ ცნობით ლონდონში მოეწყო სომხური ეროვნულ საბჭოს სხდომა, სადაც საბჭოს თავმჯდომარეს მალკოლმის სომხეთის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ სიტყვა წარმოუთქვამს. ორატორს აღუნიშნავს: ზოგიერთ პატივ-მოყვარეთა წყალობით, სომეხთა შორის უთანხმოება არსებობს, რაც იციან მოკავშირეებმაც. სომხებმა უნდა შეიგნონ უთანხმოების მავნებლობა. სომხეთმა თუ ეს არ შეიგნო შესაძლებელია იგი სრულიად დაიღუპოს. სომხეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთ მუდამ უნდა ახსოვდეთ, სომხეთის თავისუფლების დაცვა და გამაგრება შეუძლია ერთ სულიერებას. ეხება რა ლონდონის სომეხთა კრებაზე შექმნილ სულიერ განწყობილებას იმეორებს მარკ ანტონის სიტყვებს: ჩვენ შევიკრიბეთ აქ კეისარის დასამარხებლად და არა მის საქებრად. სასურველია თუ სომხებიც იტყვიან ჩვენ ვმარხავთ ჩვენ უთანხმოებასო, შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ სომხებს, ხატისიანის პრემიერობის დროს, იმედი ჰქონდა ერთსულოვნების ჩამოგდებისა, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. იმედი გვქონდა რომ ხატისიანის ლონდონში ჩამოსვლის შემდეგ მაინც მოისპობოდა ბოლო იმ უთანხმოების, რომელიც პარიზში მყოფ სომხეთის დელეგაციაში არსებობს, მაგრამ არც ეს გამართლდა. მე უნდა გამოვსთქვა ჩემი სასწორკვეთილობა, სომხეთის კეთილდღეობა თხოულობს ერთსულოვნებას იმ პირთა შორის, რომლებიც ქმნიან სომხეთის სახელმწიფოებრიობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უბედურება მოელის.

# ევროპის სოც. დელეგაციის შესახვედრად.

საქ. პრ. კავშირთა ცენტრ. საბჭოში. ენკენისთვის 9. საქართ. პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა, საბჭოს სეკრეტარიატისა და რკ. გზ. მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელთა შეერთებული სხდომა შედგა. განიხილეს შემდეგი საკითხები 1, ევროპის სოც. დელეგაციის შეხვედრა. მე-2. რუსეთში წამსვლელ დელეგაციის დირექტივების შესახებ და 3. საქარ. დეპეშ. სააგენტოს საიფორ. განყოფილების წინადადება მუშათა წრებისათვის ცნობების მიწოდების საქმის გაფართოვების შესახებ. ეს მით უფრო უნდა მოეწყოს, რომ გაზეთის გაძვირების გამო მუშებს შეძლება არ აქვთ შეიძინონ იგი. პირველი საკითხის შესახებ გადაწყდა ევროპიდან მოსულ სოც. დელეგაციის შესაფერ შეხვედრად ყოველივე ზომები მიიღონ. გამოიტანეს აგრეთვე დადგენილება სტუმრების პატივსაცემად მუშების ბანკეტის მოწყობის შესახებ. და დგინეს აგრეთვე დაახლოვებით გააცნონ დელეგაციას რკ. გზ. მთავარი სახელოსნოებისა, ტრამვაისა და არსენალის სახელოსნობის მუშაობა. გამოითქვა სურვილი რომ მუშათა ორგანიზაციის თავმჯდომარე თან წაჰყვეს დელეგაციას პროვინციაში დელეგაციის შესახვედრი გეგმის დაახლოვებითი დასამუშავებლად. აირჩიეს საგანგებო კომისია, რომელშიც შედიან: სეკრეტარიატიდან ჩხენკელი, აღმაშ. კომიტეტიდან ხელაძე, და რკ. გზ. კავშირისაგან ცენტერაძე. ამ კომისიამ ცენტრალურ კომისიასთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს ცხოვრებაში შეხვედრის გეგმას განხორციელებას. რუსეთში მიმავალ დელეგაციის დირექტივების მიცემის შესახებ მოხსენება გააკეთა ხელაძემ გადასწყდა ეკენ. 12 მოიწვიონ პროფ. კავშ. აღმასრულებელი კომიტეტისა ყველა კავშირების გამგეობისა და ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების შეერთებული კრება. ამ კრებაზე იქნება შემუშავებული ის დირექტივები რომელიც დელეგაციას გადაეცემა. დაბოლოს განხილულ იქნა საქართ. დეპ. სააგენტოს წინადადება, რომ ყველა რკ. გზის სადგურზე და იმ ადგილებში სადაც მუშები თავს იყრიან გამოკრულ იქნეს უკანასკნელი ცნობები. წინადადება მიღებულ იქნა და აღმასრულებელ ორგანოს ამ გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად სათანადო მოლაპარაკების წარმოება დაევალა.

**რესპუბლიკის ცენტრების გაცნობა.**

ცენტრალურ კომისიამ გადასწყვიტა დაახლოვებით გააცნოს ევროპის სოციალისტთა დელეგაციას რესპუბლიკის ცენტრები. დელეგაცია რა ადგილებს რომელ რიცხვში დაათვალიერებს, ეს ცალკე იქნება გამოცხადებული.

**თურქთა განცხადება.** თურქ. სოციალისტურ პარტია ჯუმერტმამ სთხოვა ცენტრალურ კომიტეტს დაუთმოს მათ კომისიაში ორი ადგილი.

**ხელოვნების საღამო.** ხელოვნებათა ცენტრმა, რომელშიაც შედის მწერალთა, მუსიკოსთა, მხატვართა და არტისტთა საზოგადოებები, აუწყა ცენტრალურ კომისიას, რომ სახელმწიფო თეატრში ევროპის სოციალისტთა დელეგაციის პატივსაცემლად გამართულ იქნება ხელოვნების საღამო შემდეგი შინაარსით: 1. მისალმებელი სიტყვა, 2, ოპერა აბესალომ და ეთერის „მეორე მოქმედება“, 3 დრამა „ღალატის“ უკანასკნელი მოქმედება და მე-4, ცოცხალი სურათები.

**კომისიის წარმომადგენელი.** ცენტრალური კომისია, ბათომის ადგილობრივ კომისიაში თავის წარმომადგენლად აგზავნის დამფ. კრ. წევრს მოქალაქე ფალავას.

**დაშნაკ. წარმომადგენელი** საქართველოს დაშნაკციტიუნის პარტიის ცენ. კომ. ბათომს გზავნის სპეციალურ კომისიას ევროპის სოციალისტთა დელეგაციის შესახვედრად. კომისიაში შედიან: კაზაზიანი, მაკარიანი, და მალხაფიფიანი.

## სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის.

სექტემბრის 8 რუსეთ—საქართველოს შორის დასადებ სავაჭრო ხელშეკრულების, პროექტის განსახილველად ფინანსთა სამინისტროს საბჭოს სასწრაფო სხდომა შედგა სხდომას დაესწრენ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, საბიუჯეტო-საფინანსო კომისია, სამინისტროების, სახელმწიფო ბანკის, საერობო და საქალაქო თვითმართველობათა და კერძო საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლები. საბჭოს თავმჯდომარემ ს. ლ. ავალიანმა სხდომას საბჭოთა რუსეთში გენ. მახარაძის მეთაურობით სპეციალურ მისიის გაგზავნის შესახებ გამოტანილი მთავრობის დადგენილება გაცნო. მისიასთან იქნება ეკონომიური განყოფილება კანდელაკის ხელმძღვანელობით. ამ განყოფილებას სპეციალურად რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადება ევალება, სწორედ ამ ხელშეკრულებისს პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა დ. აფხაზმა და აღნიშნა საქართველო-რუსეთს შორის დასადებ ხელშეკრულების ეკონომიური პერსპექტივები. ამასთანავე მომხსენებელმა აღნიშნა ამ ორ რესპუბლიკის ეკონომიურ მიმართულებათა სხვა და სხვაობა, რომელიც ართულებს სავაჭრო ხელშეკრულებათა დებულების მნიშვნელობას. ამ მოსაზრებით იძულებული ვართ, სთქვა მომხსენებელმა ანგარიში ანგარიში გაუწიოთ სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების დროს ამ ორ სახელმწიფო მიმართულებათ სხვა და სხვაობასაო, რაც შეეხება პროექტის მეორე ნაწილს ე. ი. საბაჟოს სატრანზიტოს და სხვათა შესახებ პროექტი შედგენილია საერთაშორისო უფლების ჩვეულებრივ ნორმის მიხედვით და ეჭვი არაა დიდ კამათს არ გამოიწვევს. მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. სავაჭრო ხელშეკრულების პირველ ნაწილს საყურადღებო კრიტიკა გაუკეთა იუსტიციის მინისტრმა არსენიძემ. არსენიძის აზრი გაიზიარა მისიის მეთაურმა მახარაძემ და მისიის ეკონომიურ განყოფილების უფროსმა კანდელაკმა. იუსტიციის მინისტრმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების საერთო ნაწილში აღნიშნულია, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოების ქვეშევრდომთ მოპირდაპირე მხარეს ტერიტორიაზე, ისე როგორც ადგილობრივ მცხოვრებთ, პიროვნული და ქონებრივი ხელშეკრულობის უფლება ეძლევათო, მაგრამ რას მიცემს ეს მუხლი რუსეთში მცხოვრებ ქართველებს. კითხულობს ორატორი. ჩვენი მოქალაქე რომელიც თავის მამშობლოში პიროვნული ქონებრივი ხელშეკრულების უფლებით სარგებლობს და რესპუბლიკის კანონებით არის უზრუნველყოფილი, მას შემდეგ რაც იგი საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე გადავა ყველა ამ უფლებას კარგავს, კარგავს, ვინაიდან რუსეთში „ბოლშევიკების მიერ პიროვნება სრულიად დამონავებულია და ქონებრივი უფლებანი კი გაუქმებული. სრულიად სხვა მდგომარეობაში ჩავარდება რუსეთის მოქალაქე, რომელიც საქართველოში დასახლდება. მაშასადამე ეს ხელშეკრულება რუსეთს დიდ უპირატესობას აძლევს, ქართველები კი კარგავენ ყოველ გვარ უფლებას, და სამაგიეროთ არაფერს იძენენ. ამიტომ საბჭოთა რუსეთთან საერთაშორისო უფლებაზე დაყრდნობილ ტრადიციებით ხელშეკრულების დადება არ არის ჩვენთვის მიზანშეწონილი. საჭიროა ახალი გზების ძიება და ამ სავაჭრო ხელშეკრულებაში ახალი შინაარსის ჩადება. საკითხის ყოველ მხრივ გარჩევის შემდეგ ფინანსთა მინისტრის საბჭოს თავმჯდომარემ ეს შემდეგი ძირითადი დებულება წარმოაყენა: 1) ვაჭრობა და საქონლის გაცვლა—გამოცვლა ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კერძო პირების შორის ყოველთვის მთავრობის ნებართვით უნდა ხდებოდეს. 2) ვაჭრობის საფუძველს შეადგენს საქონლის საქონელზე ან ოქროზე გადაცვლა. 3) სატრანსპორტო უფლება. 4) ქართველთა ქვეშევრდომების მოძრავი და უძრავი ქონება რუსეთში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს. ქონების ჩამორთმევა შესაძლებელია სამართლიან ჯილდოს მიცემით, 5) რუსეთის ქვეშევრდომნი იმავე უფლებით სარგებლობენ, რა უფლებითაც რუსეთში სარგებლობენ ქართველები. სავაჭრო ხელშეკრულების პროექტის ჩამოთვლილ დებულებებთან შესათანხმებლად არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: დ. აფხაზი, ა. ახათიანი, ი. ზურაბიშვილი და ა. კანდელაკი. კომისიამ თავისი მუშაობა სექტემბრის 13 სათვის უნდა დაასრულოს.

# შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი ახალციხეში.

ბოლო რიცხვებში მოხდა ახალციხის სამაზრო ერობის ყრილობა, ყრილობას 22 ხმოსანი დაესწრო. ყრილობაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობა ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ახალციხის მხარეს, რის დამადასტურებელიც არის ახალციხის ერობის შუამდგომლობის დაკმაყოფილება სესხის შესახებაც. ძველი მესხეთი შედარებით საქართველოს კუთხეებთან როგორც კულტურულ ისე ადმინისტრაციის მხრივ ჩამორჩა. აქ ადგილი ჰქონდა ანარქიულ გამოსვლებს და ამ ჟამად მოსყიდული აგენტები საქართველოს წინააღმდეგ მტრულ მუშაობას აწარმოებენ.

მაგრამ ეს ვაჟბატონები სცდებიან თუ ჰფიქრობენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არაა მტკიცე. რესპუბლიკა მტკიცე საფუძველზეა აგებული, რასაც ჰმოწმობს მისი ორი წლის დამოუკიდებელი არსებობა და აგრეთვე საქართველოს შეიარაღებულ ძალების მიერ ბათომის დაკავება და ჩამოშვებული ინგლისის დროშის მაგიერ საქართველოს დროშის აფრიალება. ჩვენდამი მტრულად განწყობილ ელემენტებმა უნდა დაიხსომონ, რომ ოსმალეთი განადგურებულია. ის დაყოფილია ნაწილებათ და გაერთიანებისათვის მას ძალა არ ჰყოფნის. ერობის მოღვაწეებმა უნდა აუხსნან, ხალხს საქმეთა ვითარება და ისიც, რომ არავითარს ძალას არ შეუძლიან რესპუბლიკის საფუძვლის შერყევა. ამ მოკლე ხანში ერობას გადაეცემა ადმინისტრაციის საქმე და სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ ერობა ადმინისტრაციის საქმეს სათანადო სიმაღლეზე დააყენებს. მინისტრმა თავის სიტყვა მისალმებით და სურვილის გამოთქმით დაასრულა. ყრილობამ აირჩია ოთხი მომრიგებელი მოსამართლე და საერობო გამგეობის მეხუთე წევრად—მალლაკელიძე. ყრილობამ დაავალა გამგეობას შეუდგეს ძველ შკოლათა აღდგენას იმ ვარაუდით, რომ ოქტომბრის 1 სკოლებში მეცადინეობა დაიწყოს, მასწავლებელთა კადრის გასამრავლებლად გადაწყდა დაარსდეს სასწავლებლო სემინარიასთან ერთ წლიანი სამასწავლებლო კურსები. ამასთანავე გადასწყვიტეს გახსნან მიმდინარე წელს უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლები. ასეთი სკოლა უნდა გაიხსნას უდესსა და აწყურში. ბოლოს დაადგინეს იშუამდგომლონ მთავრობასთან, რათა მიღებულ იქმნას ღონისძიებანი ახალციხე-ართაანის რკინის გზის გამოსაყვანათ.

# გადასახადების სამმართველო ბათომში.

ბათომიდან თბილისში დაბრუნდა გადასახადთა ამკრებ სამმართველოს უფროსი ვირსალაძე, რომელიც იუწყება: ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ბათომში გადასახადთა ამკრები დაწესებულება გადაკეთდაო. ბათომის სავაჭრო ცენტრი, სადგური და ნავთსადგურის ცალკე ხარჯთ-ამკრებ სამმართველოში შედიან ისე, როგორც ბათომის ახლო მახლო ადგილების. ოლთისის და ართვინის 3 უბნისაგან შედგენილ იქმნა ცალკე სამმართველო ახლად დანიშნული გადასახადთა ამკრები ინსპექტორები თავის მოვალეობის აღსრულებას უკვე შეუდგნენ. ვირსალაძე გაეცნო ბათომის ვაჭრობის და მრეწველობის საქმეებს და, მისი აზრით, დამატებითი სამრეწველო გადასახადი განხორციელდება ოქტომბრის 1-დან ეს გადასახადი მოგვცემს 200 მილ. მანეთადიო.

უცხოეთის ვალიუტასთან სპეკულიაციასთან საბრძოლველად გამომუშავებულია სავალდებულო დადგენილების პროექტი. განზრახულია აკრძალონ სესხის მიცემა უცხო ვალიუტაზე ისე, როგორც მისი გადახდა უცხო ვალიუტაზე გადატანით. 2) აკრძალულია ნედლი მასალისა და საქონლის ღირებულების მიღება უცხოეთის ვალიუტით. 3) ყოველ გვარ ოპერაციის წარმოება უცხოეთის ვალიუტით. 4) ვალიუტის თავისუფლად გაყიდვა სწარმოებს მხოლოდ განსაზღვრულ საკრედიტო დაწესებულებებში, რომელთაც ამისათვის მიღებული აქვთ განსაკუთრებული ნებართვა და სხვა.

# † მიხეილ ზაალიშვილის გარდაცვალება.

ენკენისთვის 10-ს თბილისში ტრაღიკულად გარდაიცვალა თბ. ვაჟთა მე-4-ე გიმნაზიის დირექტორი მიხეილ ყარამანის ძე ზაალიშვილი. განსვენებული ცნობილი პედაგოგი იყო, რომელსაც მრავალი საპედაგოგიო ნაშრომი აქვს გამოცემული. განსვენებულს მთელი გამოცემული წიგნები ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისთვის უანდერძნია.

# ერ. დემ. პარ. მთავარი კომიტეტის ცნობები.

**მთავარ კომიტეტის სხდომა.**

**კვირას 12 ენკენისთვეს საღამოს 7 საათისათვის დანიშნულია მთავარი კომიტეტის ბინაზე მთავარი კომიტეტის სხდომა. მოხსენებას გააკეთებს ევროპიდან ახლად დაბრუნებული მთავარი კომიტეტის წევრი ბ-ნი გიორგი გვაზავა.**

# შეცდომების გასწორება.

**დღევანდელს ჩვენს გაზეთში შეიპარა ტეხნიკური შეცდომა. ამიტომ მეთაურის ბოლოს ვათავსებთ აქვე:**

„ერთობამ“ იმის მაგივრად რომ [illegible] ხილოს და დაგმოს [illegible] და პოლიტიკა ამ საკითხში, „განტევების კერძს“ სხვაგან დაეძებს და იპოვნა კიდეც ეს არის შეერთებული შტატების ბურჟუაზია და იმპერიალიზმი... ჩვენ გვინდა გაზეთ „ერთობას“ ეს უფრო დემაგოგიაში ჩამოვართვათ, ვიდრე სიბრიყვეში. თუ ბურჟუაზია და იმპერიალიზმი პრინციპიულად შეურიგებელი მტერია პატარა ერების თავისუფლებისა, როგორ მოხდა რომ შეერთებული შტატები აღიარებენ სომხეთის ფინეთის და პოლონეთის დამოუკიდებლობას, ან ისა რომ ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა ფაქტიურად და მათგან იურიდიულ ცნობასაც მოველით!? ეტყობა ეს არ ყოფილა.

ან განა დიდი ხანია, რაც საფრანგეთისა და გერმანიის სოციალისტები პატარა ერებისა და საქართველოს გამოყოფისადა დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყვნენ? განა დაგავიწყდათ რომ თვით თქვენ მართლაც პრინციპებისა და დოგმის სახელით ამ დამოუკიდებლობის წინააღდეგ ბრაზმორევით ილაშქრებდით?! სჩანს ბურჟუა-სოციალისტობა აქ არაფერს შუაში ყოფილა. ეს არის კულტურის და მოქმედების საქმე. და ჩვენ ვამბობთ რომ ჩვენმა მართველმა წრებმა იმდენი პოლიტიკური კულტურა და მოქმედება ვერ გამოიჩინეს, რომ ამ შტატების ხმა და გავლენა თავიდანვე საქართველოს საკეთილდღეოდ გამოგვეყენებინა. ამერიკის ამ გამოსვლით საქართველოს საკითხის საერთაშორისო გართულება ჩვენი მთავრობის დაუდევრობის ბრალია... ახლა მაინც საჭიროა ენერგიული და ფართო მაშტაბის მუშაობა, რომ შეერთებულ შტატების საზოგადოებრივი და ოფიციალური აზრი ჩვენ სასარგებლოდ გადმოვხაროთ.

# ახალი ამბები

## სამინისტროებში.

— **მადლობა სანაპირო რაზმს.** მომარაგების სამინისტრომ ბორჩალოში მდგომ სანაპირო რაზმს და სახალხო გვარდიელებს მიმართა წერილით რომელშიაც იგი მადლობას უცხადებს რაზმს და სახალხო გვარდიელებს იმ ენერგიულ ბრძოლისათვის, რომელსაც ისინი რესპუბლიკიდან სურსათის გატანის წინააღმდეგ აწარმოებდნენ.

— **მეცხენეობა.** მიწად მოქმედების სამინისტროში აღიძრა საკითხი იმ დაწესებულებათა ერთ რაიონში თავის მოყრისა, რომლებიც მეცხენეობას ეწევიან და რომლებიც რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში არიან გაბნეულნი. ამის გამო მიწათ მოქმედების მინისტრმა სამხედრო მინისტრს თხოვნით მიმართა დაუთმოს მას ამ მიზნით ნაწილი მანგლისის ყაზარმებისა.

## ქალ. თვითმართველობაში.

— **სპეკულიაციასთან ბრძოლა.** თბილისის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო უფლებების მინიჭება მოსთხოვა სპეკულიაციასთან საბრძოლველად. ქალაქის თვითმართველობა დაპატიმრებისა და ადმინისტრატიულ წესით დასჯის უფლებას თხოულობს.

## ქალაქთა კავშირში.

— **საფუთო გადასახადი.** საერთაშორისო ტარიფის ზედმეტგადიდების გამო, ქალაქთა კავშირმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა საფუთო გადასახადის გადიდების შესახებ. ამ შუამდგომლობაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალაქთა კავშირს უპასუხა, რომ სათანადო დეკრეტით საფუთო გადასახადის გადიდება აკრძალული არისო. ქალაქთა კავშირი მომარაგების სამინისტროსთან, მუშათა მაგიდისათვის საჭირო შეშის მოტანის შესახებ ხელშეკრულების დადებას შეუდგა. ქალაქთა კავშირი ვალდებულია ოქტომბრის 15-დან აპრილის 15-მდე მიაწოდოს მუშათა მაგიდის 3000 კუბ. საჟენი შეშა.

## მუშათა ცხოვრება.

**განმარტება.** შრომის სამინისტრომ ბათომის მუშათა მაგიდას განუმარტა, რომ 1. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურენი სარგებლობენ იაფი სურსათით, მიუხედავად ჯამაგირებისა. 2. კერძო და საზოგადოებრივ დაწესებულების მოსამსახურენი სარგებლობენ სურსათით თუ ღებულობენ თვეში 15 ათას მანეთზე ნაკლებს. 3. სურსათით სარგებლობს საბჭოს თავმჯდომარე. 4 სოფლისა და ქალაქის მღვდლებს იაფი სურსათი არ მიეცემათ, მასწავლებელებს და მილიციის მოსამსახურეთ ისევე მიეცემათ სურსათი, როგორც სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთ. 5. ქალაქისა და სახელმწიფო დაწესებულებათა ექიმები იმ შემთხვევაში ისარგებლებენ ამ უფლებით თუ კერძო პრაქტიკა არა აქვთ. 6. დღიურად და დროებით მომუშავეთ სურსათი არ მიეცემათ 7. სურსათი მიეცემათ საშუალო სასწავლებლის მასწავლებელთაც. 8. კოოპერატივები და საურთიერთო ნდობის საზოგადოებები საზოგადოებრივ დაწესებულებად ითვლება.

— **ფასების მომატება.** მუშათა მაგიდამ მიმართა სასურსათო განყოფილებას განცხადებით, სადაც აღნიშნულია ბაზარზე სანოვაგეთა ფასების ზრდა. მუშათა მაგიდა ამის უმთავრეს მიზნათ სთვლის ქალაქის აგენტთა უყურადღებობას და მუშათა მაგიდა მოითხოვს სასურსათო განყოფილებისაგან შესცვალოს ახლანდელი აგენტები და ან დაავალოს მათ მიიღონ მკაცრი ზომები სპეკულიანტთა თარეშის ასალაგმავად.

— **ფქვილი.** მუშათა მაგიდა შეეკითხა სასურსათო განყოფილებას, რამდენი ფქვილი და ხორბალი დარჩა პირველ სექტემბრისათვის.

— **ნახშირის დამზადება.** მუშათა მაგიდა შეეკითხა ქუთაისის ერობას თუ რა პირობებში დაამზადებს ის ნახშირს და შეშას,

## სხვა და სხვა.

— **ნავთი მცხოვრ.** სათბობ მასალის განმანაწილებელმა ბიურომ შეიმუშავა ნორმა თბილისის მცხოვრებთა შორის კეროსინის განწილებისა. სასურსათო განყოფილებას ყოველთვიურად 60.000 კეროსინს მიაწოდებენ. კეროსინის განაწილების დროს რაიმე ბოროტების ასაცილებლად დანიშნული იქნება სარაიონო აგენტები.

# თეატრი და მუსიკა

„შემოდგომის-ჭიანური“-მოსკ. სამხ. თეატრის წარმოდგენები.

ენკენისთვის შვიდსა და რვას მოსკოვის არტისტებმა გვაჩვენეს სურგუჩევის დრამა „შემოდგომის ჭიანური“.

დრამა არ არის დიდი სტილის.

ხანში შესულ ცოლს უყვარს ჯერ კიდევ ახალგაზდა ვაჟი გრძნობს „შემო-

დგომის'' მოახლოვებას. იცის: ადრე თუ გვიან დაჰკარგავს საყვარელს. გამოსძებნის საუკეთესო გამოსავალს: რომ ,,სხვასგან'' არ იქნეს მისი საყვარელი, შეყვარებული ქალი საკუთარ ქალიშვილს ,,მიაწოდებს'' მას ცოლად, ქალში იბრძვიან: ქალი და დედა: ქალი, რომელსაც უყვარს ვაჟი, და დედა, რომელსაც უყვარს შვილი.

ეს არის დრამატიული ხლართი: ყო,,ველდღიური, ადამიანური, ძალზე ადამიანური'', თითქმის ,,მეშჩანური''.

მოსკოვის არტისტებს არ შეშინებიათ ამ დრამის წარმოდგენა. მათ იციან, რომ სრულიად უბრალო მასალას გარდაქმნის ნამდვილი ხელოვნების მაგიური შეხება...

დრამა გაცხოველდა სცენაზე, განსაკუთრებით მესამე აქტი. აქ იყო სამი მომენტი ალსანიშნავი: პირველი, როცა შეყვარებული ქალი შესწყვეტს როიალზე დაკვრას, როცა შეამჩნევს, რომ მისი საყვარელი ვაჟი ცეკვის დროს ზომაგადასული გატაცებით თვრება საცოლეს ახალგაზდური სიახლოვით; მეორე როცა შეყვარებული ქალი აკოცებს თავის ქალიშვილს შუბლზე, სწორედ იმ ადგილას, საცა მას ვაჟმა აკოცა: ქალიშვილი იგრძნობს ,,რალაცას'' და ტირილით გაუსხლტება დედას ხელიდან; მესამე, როცა ქმარი სტანჯავს ცოლს სიმართლის დადასტურებისათვის.

წარმოდგენის განსხეულებაში მოსჩანდა დიდი არტისტული კულტურა. ამ გვარი დრამის განსახიერებას ყოველთვის უცდის საფრთხედ ბანალობა. მოსკოვის არტისტებმა დიდის ხელოვნებით აიცდინეს ეს საფრთხე.

შესაძლოა ზოგიერთს მოსკოვის არტისტების არტისტული ხელოვნება მოძველებულად მოეჩვენოს, მაგრამ ყოველთვის მიუზიდველია არისტოკრატი, რომელიც, მიუხედავთ მოდის ცვლისა, ძველს რედინგოტსა და დიდს პლასტრონს ატარებს.

გ. გ.

## რუსეთი და მერეჟკოვსკი.

უცნაურობა და უზომობა დამახასიათებელი თვისებებია რუსის ხალხის. ეს ატრიბუტები მჟღავნდება რუსეთის ცხოვრების ისტორიაში.

განუსაზღვრელი სიყვარული და პატივისცემა მეფისა, მისი განდიდება—ძლიერი გამოხატულებაა. რუსის ხალხის ფსიქოლოგიისა ამ მხრით მისთვის ზომიერება არ არსებობს, დარღვეულია სიმეტრია. მართალი იყო ერთი მწერალის თქმა: „გონებით გაგება რუსეთისა—შეუძლებელია, ვერც საერთო საზომით გაზომავ მას, რუსეთი მხოლოდ უნდა გწამდესო'' დღევანდელმა რუსეთმა გაამართლა ეს აზრი. ერთი უკიდურესობა თვითმპყრობელობა მეორე უკიდურესობა—ბოლშევიზმით შეცვალა, და რამდენადაც ძლიერი იყო თვითმპყრობელობისადმი, სიყვარული იმდენადვე მტკიცეა გაჰქანება ბოლშევიზმისაკენ. რუსის სულმა ვერ შეგუა საშუალო გზა ამ ორ უკიდურესობათა შორის, და თავბრუდახვეული მანქანა,—როგორც მერეჟკოვსკი ამბობს, უზომო და განუხორციელებელ სურვილისაკენ. თავშეკავება, უარყოფილია ბოლშევიკების მიერ. განუხორციელებელი ფანტაზიით დამთვრალნი სინამდვილეს ანგარიშს არ უწევენ, დიდ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას თვალახვეული აწარმოებენ.

ბოლშევიზმი წმინდა რუსული მოძრაობაა. მერეჟკოვსკი ეუბნებოდა ევროპიელებს „კანტის ენა რომ ვიხმაროთ, თქვენი სამშობლო ფენომენალური, ჩვენი კი—ტრანსცენდენტალური. ნიცშეს ენით რომ ვილაპარაკო, უნდა გითხრათ,—თქვენში აპოლონია, ჩვენში დიონისე. თქვენი ჰენიოსობა—ზომიერებაა, ჩვენი უზომობაა. თქვენ დროზე შედგებით ხოლმე, კედელს რომ მიადგებით, ან გვერდან შემოუვლით, ან უკან ბრუნდებით, ჩვენ კი კედელს ვახეთქებთ თავს. ჩვენ ადვილათ არ ვიძვრით ადგილიდან, მაგრამ რაკი ერთხელ დავიძვრევით;—თავს ვეღარ ვიჭერთ. ჩვენ ნელი ნაბიჯით სიარული არ ვიცით. მივრბივართ, კი არ მივრბივართ, ვფრინავთ და ფეხებ აშვერილები მიწაზე ვარდებით. თქვენ შუაგული ადგილი გიყვართ,—ჩვენ ბოლოები. თქვენ ფხიზელნი ხართ—ჩვენ მთვრალნი; თქვენ—გონიერნი, ჩვენ—გაცოფებულნი; თქვენ—სამართლიანნი ხართ, ჩვენ—უსამართლონი; თქვენ თავს უფრთხილდებით, ჩვენ შემთხვევას ვეძებთ, რომ თავი დავიღუპოთ''.

შეიძლება შორს არ იყოს ეს შემთხვევა და ბოლშევიზმის რეჟიმისაგან განადგურებული რუსეთი სამუდამოთ დაიღუპოს ამის ნიშნები დღეს საკმაოდ არის.

პავლე გერმანიშვილი.

## კოტე ბუაჩიძის წერილის გამო.

„ერთობის'' 188 ნომერში მოთავსებულია კოტე ბუაჩიძის წერილი, სადაც იგი ზესტაფონის კოოპერატიულ კავშირის საქმეების არევ-დარევის და „აუცილებელი'' დეფექტების მიზეზად ასახელებს ბუხჰალტერის დაუდევრობას და გამოუცდელობას.

ყველასთვის ცხადია, რომ ანგარიშვალდებული დაწესებულება ვერ დაიწყებს ოპერაციებს, თუ მას არ აქვს სათანადო წიგნები და არ ჰყავს მოანგარიშე, მაგრამ კ. ბუაჩიძემ და კამპანიამ (გამოცდილმა კოოპერატორებმა) ოპერაციები დაიწყო გასული წლის 2 იანვარს. მე თანხმობა კავშირის ბუხჰალტრის თანამდებობის დაჭერაზე განუცხადე გამგეობას 1918 წ. დეკემბრის ბოლო რიცხვებში, მაგრამ გამგეობა სიტყვიერი განცხადებით თუ წერილობითი მიმართვით, ბ. ი. გუნცაძის მოწერილი წერილი დღესაც ხელში მაქვს, სცდილობდა რაც შეიძლება მეტ ხანს ჩემს თბილისში შეჩერებას; უცადე თბილისში კიდევ თვე ნახევარს და შემდეგ ჩემით ჩავედი ზესტაფონს, მაგრამ გამგეობამ მაინც შესძლო კიდევ ორი თვით ანგარიშების დაწყების გადადება: ჯერ „ვერ იშოვა'' დურგალი და კიბე ვერ გააკეთა, რომ ბინაში შევსულიყავით და მუშაობა დაგვეწყო, (ამ ბინას თურმე შესავალი ჰქონდა, როგორც მერმე გამოირკვა მაგრამ—გვიმალავდენ); მერე არ დამეთანხმა ინვენტარული ბალანსის შედგენაზე და მოისურვა „ანგარიშების ოპერაციების დაწყების დღიდგან აღდგენა'': ამიტომ დავიწყეთ მე და მ. მაჭავარიანმა „საბუთების'' ამოკრეფა; ეს ,,საბუთები'' იყო კ. ბუაჩიძის თანამშრომლებისაგან ნაწერი, სადაც ხან და ხან მარტო საქონლის წამღებს სახელი იყო აღნიშნული და გვარი კი არა; ხელი, რასაკვირველია, არც ერთს „საბუთზედ'' არ იყო მოწერილი საქონლის წამღების მიერ, ასე რომ საქონელი წაიღო თუ არა „საბუთები'' აღნიშნულმა ვლადიმერმა, ღმერთმა უწყის. ეს ,,საბუთები'' გამგეობის წევრებს და სხვა ათ მახლობელ ,,სანდო'' პირებს ჯიბეებში ჰქონდათ და ცოტ-ცოტას გვაძლევდნენ, რასაკვირველია, ზოგიერთ მათგანს ჩემი თვალის წინ აწერიებდენ მ. მაჭავარიანს და იქვე აწერდა გ. ბუაჩიძე ხელს, როგორც ყოფილი ქალაქის თავი იმ დროსა, როდესაც შაქარისმიილო კავშირმა ქ. ზესტაფონის მმართველობისაგან. ,,საბუთების'' წერა და ამოკრება გაგრძელდა იმ დრომდი, ვიდრე გასული წლის 14 ივლისს ინვენტარული ბალანსი არ იქნა შედგენილი.

შესდგა ინვენტარული ბალანსი, სადაც ერთი და იგივე ჯამები „ცეკავშირში'' შეტანილადაც არის ნაჩვენები, და სხვა და სხვა პირზედაც გაცემულადაც და სხ... ამ ჯამებზე ქვემოდ მექნება ლაპარაკი.

რაც შეეხება შტატს, არ იქნა და ვერ დავითანხმე გამგეობა, რომ კიდევ ერთი კონტორის გამგე აგვეყვანა. ეს საქმეს ძლიერ აფერხებდა, ბოლოს შეუძლებელიც შეიქნა მოვალეობის შესრულება, გამგეობის გასული წლის 13 ივლისის რწმუნებულთა ყრილობაზე კრებამ ძალა დამატანა და გამგეობის წევრად ამირჩია; ძალის დატანება დასჭირდა იმიტომ რომ მე მეშინოდა კ. ბუაჩიძეს და კამპანიასთან მუშაობისა, რადგან არ ვფიქრობდი რომ მათ ,,მოღვაწეობას'' საზოგადოება შესაფერისად ვერ დააფასებდა. კ. ბუაჩიძე და ბ. ი. გუნცაძე ერობაში მუშაობდნენ, ვლ. გოცაძე საწყობის გამგის თანამდებობას შესრულებას უნდებოდა და მე ერთი გამგეობის წევრი ვიყავი კანცელარიაში, რომელსაც ყველა მოსულ კოოპერატივის რწმუნებულისათვის საჭირო ცნობები უნდა მიმეცა, ნისიის რაოდენობა გამომერკვია და სხ; ამიტომ საბუჰალტერო სამუშევარს, რასაკვირველია თავის დროზე ვეღარ ვასრულებდი. რადგან მე ეჭვი მქონდა, რომ კ. ბუაჩიძე განგებ არ მეთანხმებოდა საჭირო შტატის დაქირავებაზე და ბუხჰალტრის მიწვევაზედ და სურდა ანგარიშების არევ-დარევა, მივმართე გამგეობის თავმჯდომარეს ბ. ი. გუნცაძეს, აუხსენი ანგარიშების მდგომარეობა და დავითანხმე კიდეც ბუხჰალტრის მოწვევაზედ. მოვიწვიე ბ. ალ. ცუცქირიძის დახმარებით ბატონი ჭიქაძე რომელიც ჩამოვიდა და მუშაობას უნდა შესდგომოდა, რომ ბუაჩიძე და შემთხვევით ჩამოსული მისი ქომაგი ალ. ერქომაიშვილი წინ არ აღგომოდა ჭიქაძის მიღებას. რადგან მუშაობის შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, წავიდა ბ. მაჭავარიანი, დავრჩი მარტო და დამეკისრა კონტორის გამგის სიის შესრულება; მოვიწვიე ბ. სახვაძე, მაგრამ რადგან სამუშავოს შესრულება ორი კაცის ძალას აღემატებოდა, ისიც წავიდა; ვიდრე სხვას ვიშოვიდით, ღვინობისთვეც მოვიდა ბუხჰალტერი სულ ვეღარ ვიშოვეთ, რამოდენიმე თვის სამუშევარი დაგროვდა და რასაკვირველია, წლიური ანგარიშების შედგენაც დააგვიანდა რაც შეეხება მიმდინარე წლის ანგარიშებს, ყველა ანგარიშები რიგზეა გარდა, სხვა და სხვა პირის და დაწესებულების ანგარიშისა, რომლის წესრიგზე მოყვანა არავის არ შეუძლიან, თუ ან არ მიაფუჩეჩებს რამეს ან ისევ, როგორც წლის ბოლოს ერობაზე და ქალაქზე არ დასწერეს ვალად იმ თანხებს, რომელიც ნამდვილად არ მართებს, და ან კ. ბუაჩიძე და კამპანია არ გადაიხდის იმ თანხებს, რომლებიც ერთის მაგიერ ორჯერ არის გატარებული გასავალში და ან იმ ყალბ ცნობებზე არის აშენებული, რომელიც კ. ბუაჩიძემ თავის ხელით მოიტანა კავშირში თავის ხელ მოწერილი ერობიდან, და რომელიც ყალბი ამოჩნდება იმ მხრით, რომ ასეთი ცნობის ამოწერა, ერობაში კავშირის პირად ანგარიშში ჩანაწერიდან ყოვლად შეუძლებელია, არ ამოჩნდა ამ ცნობის შავი ერობაში და ვერც უთხრა 50.000 მანეთის საკითხის გამომრკვევ კომისიას ერობამ, ასეთი ცნობის ამოწერა აღნიშნული ცნობა არის დაწყებული 1919 წლის ენკენისთვის თარიღით № 3049 და ხელმოწერილია კ. ბუაჩიძისაგან. ცნობა რომ შეთხზული არ ყოფილიყო და წიგნებიდან ყოფილიყო ამოწერილი, 30.397 მ. 69 კ. მაგიერ იქნებოდა 81.000 მ. ნაჩვენები და ამნაირად კავშირი 50.000 მ. არ დაკარგავდა.

პლატონ საყვარელიძე.

(დასასრული იქნება).

## რუსეთის პრობლემა და კავკასია.

8.

კავკასია.

კავკასია ხიდი იყო, რომელზედაც მიგორავდნენ ხალხთა ტალღები აღმოსავლეთიდან დასავლეთით და სამხრეთიდან ჩრდილოეთით.

ბევრი ხალხი გადაგორებულა ამ ხიდზედ და ბევრის ნაწყვეტი დარჩენილა აქ. ამიტომ არის კავკასია დასახლებული მრავალი ერებით, სხვადასხვა ენით მოლაპარაკე.

კავკასიელ ერებათ ითვლებიან: ქართველები, ჩერქეზები, ყაბარდოელები და აფხაზები, ჩაჩნები, ინგუშები და დევები, აგრეთვე სომხები. ეს ერები მონათესავენი არიან ერთი მეორისა ენით და სისხლით. მაგრამ კავკასიაში ცხოვრობენ კიდევ მონგოლის რასის ერები: ყარაჩელები, ყუმიხები და აზეირბაიჯანელი თათრები, აგრეთვე ჩერქეზების გადასახლების შემდეგ ყუბანის ოლქში რუსეთის მთავრობამ დაასახლა უკრაინის კაზაკები. თუმცა ეს ერები არ ენათესავებიან კავკასიელ ერებს არც ენით, არც სისხლით, მაგრამ დიდი ხნის მეზობლურ განწყობილებით შეითვისნენ კავკასიურ ერთა ზნე-ჩვეულება. კავკასიის შუაგულ მთებში ცხოვრობენ კიდევ ოსები, ევროპის რასის შტო ენით; მაგრამ ათასი წლობით კავკასიაში ცხოვრებამ იმათაც თავისი ბეჭედი დაასვა,—ოსები ნამდვილი კავკასიელები არიან, და ევროპიელებს სრულებით არ ჰგავან თავისი კულტურით.

ამგვარად კავკასია მეტად აჭრელებულია, მაგრამ შეიძლება საერთო რამ ვიპოვოთ ამ ერებში.

კერძოდ ქართველებზე ბევრს არას ვიტყვით, ვალაპარაკებთ დიდ მეცნიერ ისტორიკოსს ბოზზენს: ,,ძნელი იყო ამ ხიდზედ (კავკასიაზე) გაჩერებაო. მიუხედავად ამისა, ქართველი ერი, არა თუ გაჩერებულა ამ ხიდზედ, შეუქმნია თავისი სახელმწიფო. სხვა ერებს ნამდვილ სახელმწიფო არ ქონიათ, უფრო თემობრივი წეს-წყობილება იყო მათ შორის,—სახანოები, მამასახლისები და ამ გვარი. თუმც სომხებს ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფო, მაგრამ ის იყო კავკასიის გარეშე და დაინგრა თოთხმეტი საუკუნის წინად, მხოლოდ მას შემდეგ იწყეს სომეხ გადმოხვეწილებმა შემოხიზვნა კავკასიაში. ამნაირად, კავკასიის ერთაშორის ქართველებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ''...

ამის შემდეგ ჩვენ გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ქართველი ერი იყო და იქნება კიდეც კავკასიის წარმომადგენელად და მისი ათასი წლოვანი კულტურის მატარებელად.

ორიენტალისტები ირწმუნებიან, რომ ვანის ნანგრევებში უპოვნიათ ლურსმული წარწერანი, ქართული ენის მსგავსად. ამ წარწერებში ნახსენებია ხეთნი ალაროდიულნი; ხეთელები უნდა იყვნენ კოლხიდელების წინაპარნი და ალაროდიელნი—ივერიელებისა, ე. ი. ქართველებისა. ამ ერების ისტორია მოთხრობილი იმ წარწერებში, მათი ომები ეგვიპტელებთან, ასურელებთან და ბაბილონელებთან. ჰფიქრობენ, რომ ბრინჯაო ამ ერების მოგონილია. თუ ეს მართალია, ქართველ ერს შეუძლიან იამაყოს ამითი. ამ გამოგონებას ვერ შეედრება ვერცერთი სხვა,—არც სტამბა, კომპასი და თოფის წამალი, არც რკინის გზა და ორთქლის მანქანა, არც ტელეგრაფი და თვით ავიაცია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრინჯაოს გამოგონებამდე დედამიწის ზურგზე ადამიანი არ ყოფილა, იყო პითეკანტროპუსმაიმუნ კაცა; მაგრამ ბრინჯაომ უცბად ეს ცხოველი კაცად აქცია და მიანიჭა პირველი ადგილი ზოოლოგიის სისტემატიკაში (ლინეო საპიენს-ის) სახელწოდებით, აქცია ბუნების მეფედ. ამის შემდეგ ადამიანი მარჯვედ მიდის წინ პროგრესისაკენ.

მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რამდენად უდაო ეს ფაქტი, ამასთან არქეოლოგია ჩვენი საქმე არარის.

ჩვენ ვიხელმძღვანელებთ უდაო ისტორიულ ცნობებით. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ რომ ქართველი არა თუ გაჩერებულა ამ კავკასიის ხიდზედ, სადაც სხვა ფეხს ვერ იკიდებდა, თავისი სახელმწიფოც აუშენებია. ამას უნდა დავუმატოთ, რომ სახელმწიფო უმაღლესის ორგანიზაცია ისა,—ფეოდალური—არისტოკრატიული მონარქია. უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ამისთანა სახელმწიფო ირგვლივ არსად ყოფილა. იყო იაპონიაში, მაგრამ მისი არსებობა ჩვენ მაშინ გავიგეთ, როცა რუსეთს ომი გამოუცხადეს; იყო ევროპაში, მაგრამ ჩვენ იქ ხელი არ მიგვიწვდებოდა და მასთან, როცა ევროპაში ფეოდალური წეს-წყობილება იქნებოდა, ჩვენში უკვე ჩამოყალიბებული იყო. მაშასადამე, ქართველი ერი უადრესად ნიჭიერი ყოფილა სახელმწიფოს აშენებლობაში. ეს დღესაც გამოაშკარავდა: როცა რუსეთი დაინგრა ქართველმა ყველა სხვა ერებზე უფრო ადრე და უფრო მტკიცედ ააშენა თავისი სახელმწიფო. და ეს ეკუთვნის მთელს ერს, და არა მარტო მის ხელმძღვანელთ; გამოიჩინა ჭკუა-გონება და დაიცვა წესიერება.

ქართველი ერის ვაჟკაცობა განთქმული იყო მთელს მცირე აზიაში. [illegible] ეშინოდათ ქართველი მეომრების და იმათ ვაჟკაცობა ხომ უცილობელია.

ხელოვნების სფეროში ქართველი ერი არავის არ ჩამოუვარდება. ლიტერატურა პატარა ერისა დიდი ვერ იქნება, მაგრამ პროპორციულად ჩვენი ლიტერატურა არავისას არ ჩამოუვარდება; შოთა რუსთაველის უკვდავი მქმნილება „ვეფხის ტყაოსანი'' ხომ ზედმეტია.

სკულპტურა დამოუკიდებელი არ ყოფილა, რადგან არ იყო ჩვენს ცხოვრებაში მისი მოთხოვნილება, მაგრამ მისი ნასახი გამოსჭვივს ჩვენი ორნამენტებში. ორნამენტები ჩვენი კი ნამდვილი ქართული სტილისა არის და მდიდარი.

მხატვრობა ჩვენი ვითარდებოდა ტაძრების დასამშვენებლად ბიზანტიის ზედგავლენით, მაგრამ ჩვენს ოსტატებს მაინც შეუქმნიათ თავიანთი ქართული სტილი, რომელიც განირჩევა ბიზანტიისაგან უფრო მეტი სიცოცხლით. არ აზის მას ბიზანტიის უსიცოცხლო ასკეტიზმის ბეჭედი. ამასთან ტეხნიკა განვითარებულია, ფერადები მდიდარია; ანატომიის ცოდნაც ეტყობა და სურათების გამოხატულებაც წმინდა და სრულია.

არქიტეკტურაში არის ნამდვილი ქართული სტილი, მარტივი მაგრამ დიდებული და ლამაზი, მშვენიერი და მდიდარი ორნამენტებით. მრავალი ტაძრებია ჩვენს მონასტრებში, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ერთს ვერ ნახავთ იმისთანას, რომელიც აღალატობდეს ნაწილების პროპორციულობას. ნამდვილი სილამაზეს სწორედ ეს ჰქმნის. ლუვრის მუზეუმში ამის დასამტკიცებლად პროფესორები თავიანთ მსმენელებს მილოსის ვენარაზე უჩვენებენ და თან ზომავენ ნაწილებს სანტიმენტრით.

ხელოვნური მუსიკა ჩვენ არ გვქონია ვერ მოვასწარით მისი შექმნა, მაგრამ ხალხური მუსიკა ჩვენი ისეთი მდიდარია როგორც მელოდიით ისე რიტმითაც, რომ ვერც ერთი ხალხური მუსიკა იმას ვერ შეედრება.

ფილოსოფია ჰქონდა თუ არა ქართველ ერს არ ვიცით, ჩვენ ადრე მივიღეთ ქრისტეს სარწმუნოება და მან წაშალა ყველა ფილოსოფია. ჰფიქრობენ, რომ ცეცხლ—თაყვანის, ცემა საქართველოში დაიბადაო. ახალი ფილოსოფიისათვის ქართველ ერს დრო არა ჰქონდა, სულ ომში იყო გართული.

მეცნიერებაც არ ყოფილა საქართველოში, მაგრამ მეცნიერების სამშობლო ხომ ევროპაა და რა აზრია, ჩვენ კი უფრო აზიაში ვიყავით.

ქართველ ერს შეუქმნია და აუშენებია თავისი სახელმწიფო უმაღლესი ორგანიზაციისა, შეუქმნია თავისი დიდი კულტურა იმ ხიდზე, სადაც სხვა ერები ვერც კი გაჩერებულან.

როცა ცოტა სიწყნარე იყო კავკასიაში დავით აღმაშენებლიდან ვიდრე თამარ მეფის გარდაცვალებამდე, ქართველს ერს დაუპყრია მთელი კავკასია ბიზანტიიდან არეზამდე, დარუბანდიდან ვიდრე ტრაპიზონამდე; შეუქმნია მძლავრი იმპერია. მაგრამ მეცამეტე საუკუნიდან კვლავ იწყობა ხალხთა დენა; საქართველოს შემოესივნენ მრავალ და მძლავრი მტერნი. ერს დრო აღარ ჰონდა ეზრუნა მეცნიერებისათვის და ხელოვნებისათვის, კულტურისათვის,—ის დღე მუდამ ხმლით ხელში მტერს ებრძოდა თავის სარწმუნოებისა, ეროვნების და ტერიტორის დასაცავად. მაგრამ შიგ და შიგ, დრო გამოშვებით კულტურული მუშაობა მაინც არ შეწყვეტილა, ერი უმეტესად გაწყვეტილა, მაგრამ არ გავერანებულა.

უნდა ვიგულისხმოთ რომ ქართველი ერი ყოფილა ბუნებრივად ინტელიგენტური ,,ნაციონ სპირიტუელ'' როგორც იტყვიან ფრანგები. ამიტომ იყო ქართველი ერი მუდამ მისწრაფოდა ევროპისაკენ, როგორც კი შეიძლებოდა იქითკენ განათლების სანთლეს, მაგრამ ევრომის კარი დაიხშო ჩვენის მეთოთხმეტე საუკუნეებში. მაინც ბევრი გამოჩენილი იქით მისწრაფოდა და ბევრმაც კათოლიკეს სარწმუნოება მიიღო, რათა რომის პაპის ყურადღება მიექციათ საქართველოსაკენ. როცა ევროპაზე იმედი სრულებით გაუტყდა, მიაქციეს ყურადღება რუსეთს. რუსეთს მარტო მტრის შიშით არ დაჰკავშირებია საქართველო,—იქიდან ლამობდა ევროპის ცივილიზაციის შემოღებას, მაგრამ იმედი სრულებით გაუცრუვდა.

მაგრამ რუსეთი დაინგრა, საქართველო დღეს თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, და ჩვენ ხელთ არის ჩვენი სვე—ბედი.

რა ესაჭიროება საქართველოს? ისევ
ის, რაც რუსეთთან დაკავშირების დრ
—განათლება, და ეს განათლება, მტ
ცედ უნდა ვისწავლოთ, არის ევრ
პაში და არა რუსეთში. ჩვენ უკვე ა
ნიშნეთ ცივილიზაცია არის ევრო
ცივილიზაცია დამყარებულა ევრო
მტკიცე მეცნიერებაზე. ევროპის
ვილიზაციას ჯერ არ გაკოტრებუ
ევროპის მეცნიერება ჯერ არ შეჩე
ბულა და წინსვლა არ შეუწყვეტია,
არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სი
ვა. ტყუილად ემუქრება მას ბოლშევ
მი: ევროპის ცივილიზაციას იგი ვე
ფერს ვერ დააკლებს, თავის თავს
გააუბედურებს. იგი თავის თავს ვერ
ლაგებს, მანამდი კი მთლად რაც შ
ძენია, იმასაც დაჰკარგავს და გაპარ
ხდება. მართალია, მას მრავალ რ
ხოვნობა იხსნის ამოწყვეტისაგან,
რამ ვერ იხსნის ვერც გაველურებ
და ვერც მონობისაგან. ამ ასი მილ
ნიან აჯანყებულ ერს ისე ადვილად
დაალაგებს თვით ევროპაც. ევრო
ლებიდან მხოლო გერმანიას ძალ
რუსეთის დალაგება. მიანდობს და
ჩენი ევროპა გერმანიას ამ მისსიას
არ მიანდობს, ეგ სულ ერთია,—გერ
ნიას ეს გზა არ ასცდება. გერმანი
ავტორიტეტი ყოველთვის დიდი
რუსეთში და დღესაც დიდია.

მოვა დრო და გერმანია გაბატონ
ბა რუსეთში, დაალაგებს და ირგუ
თავის კოლონიის როლს, მაგრამ
ხერხებულად, უომრად, უმტკივნეულ
რუსეთის პრობლემას ჩვენის აზრით,
უნდა დამთავრდეს ბოლოს.

კავკასია და კერძოდ საქართველ
ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამო
ჩვეულ აზრს მასთან დაბრუნებისას,
არ უნდა თვით გაწადგურდეს და გა
რანდეს,—აზერბაიჯანის მაგალითი ა
დასამტკიცებლად სრულებით საკმარ
სია. აზერბაიჯანში რუსების მოლაშქრე
ბა კანიბალიზმს უდრის. გვეშინოდ
მისი აჩრდილისაც კი..

(დასასრული)

## ჩვენი კორესპონდენტები

### დუშეთის სათემოში.

სოფელ ქსოვრისი. ქსოვრისს და მის ახლო მდებარე სოფლებს ღვინის მოსავლის მიხედვით პატარა კახეთს უწოდებენ. აქ მოდის საუკეთესო თვისების ღვინო და იმდენიც, რომ მცხოვრებლები ჰყიდიან კიდეც... მაგრამ რამდენიმე წელიწადია იჟამურებს და მეზობელ სოფლებსაც ღვინის მოსავალი აღარ ახსოვთ, და ვერც მიხვედრილან მოუსავლობის მიზეზს. ბევრი ცრუმორწმუნეობაი ხსნის; ნამდვილი მიზეზი კი ნაკლები წამლობაა და ისიც დაგვიანებით. პურის მოსავალიც წრეულს მცირე იყო. თუმცა ყანები მშვენიერი იდგა, მაგრამ უცბად აიოდა და გალეწვის დროს გამოსავალი არა ჰქონდა. სიმინდი, ლობიო, ხახვი და სხვა დანარჩენი ფეხის მოსავალი საკმარისად მოვიდა...

სოფ. ქსოვრისი რამდენადაც ბუნებისაგან ნაყოფიერი მიწებით დაჯილდოვებულია და ეკონომიურად მაღლა სდგას, იმდენადვე ხალხი კულტურულად ჩამორჩენილია და გაუნათლებლობით დაბლა სდგას. ქსოვრისმა შარშანდლამდის არც კი იცოდა რა იყო სკოლა. დღეს კი უკვე სამოსწავლო მეორე წელიწადი იწყება და ხალხი დიდის სიყვარულით და ხალისით ეკიდება სკოლის საქმეებს. სკოლის შენახვა და მასწავლებლის მოწვევა თვითონ სოფელმა თავს იდო. ხალხის სულის კვეთებას მიხვედრილი ქ-ნი ნინო ჯავახიშვილის ასული, რომელიც იქ მასწავლებლობს, თავის დინიშნულებას პირნათლად და მუყაითად ემსახურება, რისთვისაც ხალხისაგან მხურვალე მადლობა დაიმსახურა... დღევანდელამდის სკოლას საკუთარი ბინა არ მოეპოვებოდა და შარშან რის ვაი-ვაგლახით ბაბშვები ხან ერთ კერძო სახლში მეცადინეობდენ და ხან მეორეში. სკოლის ასეთ უბინაო მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა მცხოვრებელმა ბ-მა ივანე გიორგის ძე რატიშვილმა, რომელმაც საკუთარი ორ-სართულიანი სახლი მშვენიერი ხეხილით ჩალის ფასად დაუთმო სკოლას და ნახევარი აღებული ფასისა 20,000 მან. სკოლასვე შესწირა პარტების შესაძენად, რისთვისაც დიდი პატა-
რა მას პატივისცემით იხსენიებს ას
უხვი შემოწირულებისათვის. ყვე
მოისთქვამს იმედს, რომ თუ სოფელს
თი დამხმარენი გამოუჩდნენ, როგორ
ქველმოქმედი ბ [illegible]
ლი, მალე, [illegible]
დიდათ გაიზრდება და კიდეც განათლ
ბა. საჭიროა ასეთივე შეწირულება
სოფლელებმაც გაიღონ, რომლებსაც
ლები ჰყავთ აღსაზრდელი, შეძლე
იმდენი აქვთ, რომ არც კი იციან
ლებში დაობებული ქაღალდის ფუ
რაში მოიხმარონ...

## საჭირო განმარტება.

,,საქართველო''ს № 96 შეცდომ
იყო განმარტებული თელავის სამაზ
ერობის შეუფერებელი ძალმომრ
ადგილობრივ შემდგარ ,,მუშათა ამ
ზედ''. საქმის ვითარება ასეთი
ერობამ მუშათა ამქარს (არტელს)
ცა შესაკეთებლად გზა და უნდა მ
გასამჯელო 30,000 მან. მუშები
ციალისტები არ იყვნენ თავის სპ
ვინაიდგან შიგ ზოგი მ სწავლებელი
ზოგი სხვა მოხელე, უმრავლესობა
შეადგენდნენ გიმნაზიის უფროსი კ
შეგირდები. ამიტომაც იკისრეს ეს
მცირე ფასში აღებული საქმის შე
ლება, თორემ სხვა პირობებში ზ
აღნიშნულ გზის შესწორება დაჯდებ
არა ნაკლებ 120,000 მან. როდესაც
შათა ამქარმა დაამთავრა სამუშაო,
ბამ მოახდინა რევიზია და იმისთანა
ფაქტები მოსძებნა, რომლების მხ
აქტევა მუშებს, როგორც არა სპე
ლისტებს, არ შეეძლოთ, ეს კარგად
ეხსნენება ერობას, მაგრამ მაინც
არ შეუსრულა დანაპირევი და 30,0
მაგივრად მისცა მხოლოდ 10,000 მ
გვარად ერობამ თითო მუშის სამუ
5 დღეში 1000 მან. ე. ი. დღეში 20
(მუშის ხარჯზედ) არ მისცა და მ
დავად საჩივრებისა და ურავლად შ
ნილ განცხადებისა, დღემდე უშედ
თაა, დარჩენილი. ეს არ კარის კ
მეტი რომ არაფერი ვსთქვათ და ს
როა შესაფერი ყურადღება მიექცე
საქმის მოწესრიგებას, რომ შემდე
ადგილი აღარ ჰქონდეს ამგვარ თვით
ბობას.

გ. ყირჩი

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხ. კედ

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათ
მიხეილ გედევანიშვილი
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 ს
არის საწოლები. ყორღანოვის ქ.,
ერაზე. 3102.